# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 12 აპრილი, 1998 წელი.
№ 87
(2787)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

## ინფორმაცია

# ბანდიტების დამსჯელი ექსპედიცია

10 აპრილს აფხაზმა ბოევიკებმა გაიტაცეს გალის რაიონის სოფელ საბერიოს გამგებელი დავით ეთერია თავის შვილთან ერთად და მათ გათავისუფლებაში მოითხოვეს დიდი რაოდენობით გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ დასჯითი ოპერაციის ჩატარებით.

მართლაც, გუშინ, 11 აპრილს, 14 საათზე აფხაზი ექსტრემისტების შეიარაღებული ჯგუფი სოფელ ფახულანში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ძალების საგუშაგოს სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, ჯავშანტრანსპორტიორით, „გაზ-66“ და კამაზის მარკის სატვირთო ავტომანქანებით, სულ სამოცამდე კაცი, დამსჯელი ექსპედიციის ჩასატარებლად შეიჭრნენ სოფელ საბერიოში. მაგრამ დამსჯელ რაზმს შეტაკება მოუხდა აფხაზეთის გათავისუფლების ფრონტის მებრძოლებთან, რომელშიც გაერთიანებული არიან აფხაზი, ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი ეროვნების აფხაზეთის მოქალაქეები და იარაღით ხელში იბრძვიან სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიაზე.

შეტაკებისას მათ ააფეთქეს ჯავშანტრანსპორტიორი და სატვირთო ავტომანქანები. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა დამსჯელი ექსპედიციის მონაწილე რამდენიმე აფხაზი ეროვნების, დაიჭრა რამდენიმე რუსი ეროვნების ბოევიკი.

## პრეზიდენტი

# დღეს დარგული ყველა ხე გაიხარებს

დედაქალაქის შემოგარენში ტყეების მეცნიერულ დონეზე გაშენების ტრადიცია, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულიდან იღებს, გრძელდება. გამწვანების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ქვეყანაში გამოცხადებული ერთთვიურის ფარგლებში ინტენსიურად მიმდინარეობს გამწვანების სამუშაოები. 11 აპრილს სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლებმა შავნაბადას ტერიტორიაზე გაშენებულ ტყეს ასობით ნაძვისა და კაკლის ნარგავი შემატეს. ტრადიციულად, ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც თავადაც დარგო უკვე მერამდენე ნაძვი შავნაბადას შემოგარენში.

შავნაბადას ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე 300 ჰექტარზე გადაჭიმულ ტყის საფარს, გამწვანების ერთთვიურის ფარგლებში 2500-მდე ძირი ხე შეემატება, მათ შორის, 150 ძირი კაკალი. ეს კი, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, ნიშნავს, რომ ტყის განადგურების ეტაპი დამთავრდა, რადგან როდესაც ადამიანი ტყის გაშენებას იწყებს, ის მერე უკვე ერიდება მის მოჭრასა და გაჩეხვას. და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტყეების გაშენების ტრადიციას დიდი ისტორია აქვს, ამჟამად მიმდინარე პროცესი მაინც განსხვავებულ დატვირთვას იღებს – მაშინ „სხვა“ სამშობლო იყო, დღეს კი ქართველები ნამდვილად საკუთარი სამშობლოს მომავალზე ზრუნავენ. და, რაც მთავარია, საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ამ დღეს დარგული ყველა ხე გაიხარებს.

გამწვანების ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, თბილისის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, მთავრობის წარმომადგენლები, დედაქალაქის რაიონების ხელმძღვანელები.

საქინფორმი.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი

ო. გაბელიას და რ. შენგელიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ფეხბურთის განვითარებაში, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის მფლობელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები **ოთარ გაბელია** და **რამაზ შენგელია** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი

ნ. ციცქიშვილის და ა. ჯანელიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ვოკალური ხელოვნების განვითარებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ვოკალური ჯგუფის ხელმძღვანელები, საქართველოს დამსახურებული არტისტები **ნინო (ციცინო) ციცქიშვილი** და **ალექსანდრა (შურა) ჯანელიძე** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**



11 აპრილს შავნაბადაზე. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## პარლამენტის თავმჯდომარე

# დემოკრატიის კურსის საბოლოოდ გასამარჯვებლად

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ხანდოგი.

როგორც შეხვედრაზე ბატონმა ვლადიმერ ხანდოგმა აღნიშნა, ორმხრივი თანამშრომლობა საქართველოსა და უკრაინას შორის, რომელიც 5 წლის წინათ სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებით დაიწყო, წარმატებით ვითარდება და გრძელდება პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. უკრაინა-საქართველოსთან ურთიერთობის განვითარებისათვის საპარლამენტო კავშირებს განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება.

უკრაინაში ახლახან გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად ძირითადად საპარლამენტო ძალას ცენტრისტები შეადგენენ. ეს, სტუმრის თქმით, საპარლამენტო თანამშრომლობის თვისებრივად ახალ პერსპექტივას სახავს. უკრაინის ხელისუფლება მზად არის საერთაშორისო ორგანიზაციებმა გააქტიურონ ძალისხმევა აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით

იხ. მე – 2 გვ.

## უკანასკნელ საათს

**გუშინ** ტაჯიკეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების თვითმფრინავი „სუ-25“ აფრენიდან ნახევარ საათში აფეთქდა. დაიღუპა ეკიპაჟის ორივე წევრი.

**გუშინ** დაიწყო სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება. ცოტა ხნის წინათ ამგვარ შეხვედრაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

## დღეს



ამინდი

### დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი, 10-15 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +14+19; დღისით +26+31

მთაში: ღამით +10+15; დღისით +22+27

მაღალ მთაში: ღამით +5+10; დღისით +17+22.

### აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ზოგან ნისლი, სუსტი ქარი.

ბარში: ღამით +13+18; დღისით +23+28

მთაში: ღამით +7+12; დღისით +19+24

მაღალ მთაში: ღამით +3+8, დღისით +15+20.

### თბილისში:

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.

ღამით +16+18, დღისით +26+28.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ლარის კურსი

1871653

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 11 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| გირვანქა სტერლინგი | 1 | 2. 2348 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.7342 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.3350 ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 1 | 0.2192 ლარი |
| თურქული ლირა | 10,000 | 0.0540 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.2178 ლარი. |

საქართველოს რესპუბლიკა
№ 87, კვირა, 12 აპრილი, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარლამენტის თავმჯდომარე

# დემოკრატიის კურსის საბოლოოდ გასამარჯვებლად

(პირველი გვერდიდან)

მოწესრიგებისათვის და საქართველოს ხელისუფლების შეხედულებისამებრ, მიიღოს კონკრეტული მონაწილეობა ამ საქმეში.

ზურაბ ჟვანიას თქმით, საქართველოს პარლამენტში, ისევე, როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში უკრაინასთან ურთიერთობის პრიორიტეტულ მნიშვნელობას კითხვის ნიშნის ქვეშ არავინ აყენებს. საქართველოს პარლამენტი, ახლადარჩეული რადის ინსტიტუირების შემდგომ, კვლავაც გააგრძელებს მასთან ინტენსიურ კონტაქტებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, უკრაინა არის სახელმწიფო, რომელსაც განსაკუთრებული საერთაშორისო როლი ეკისრება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პოლიტიკურ პროცესებს რეგიონში.

სტუმრის თხოვნით, პარლამენტის თავმჯდომარემ ვრცლად ისაუბრა ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი ვიზიტის შედეგებზე და აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში განუზომლად გაიზარდა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესი რეგიონისადმი, სადაც უკრაინა ისევე, როგორც საქართველო და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დემოკრატიული რეფორმების კურსის საბოლოო გამარჯვებაში.

# ქვეყანა ეკონომიკური ბუმის კარიბჭესთან დგას

როგორც ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სამუშაო ვიზიტის შედეგებს მიეძღვნა პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას პრესკონფერენცია, რომელიც 10 აპრილს გაიმართა.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ვრცლად ილაპარაკა ვიზიტის მიმდინარეობასა და შედეგებზე. როგორც მან აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ და საქმიან წრეებთან შეხვედრებმა ცხადყო, რომ საქართველოს აღიქვამენ პერსპექტიულ და საიმედო პოლიტიკურ პარტნიორად. ამდენად საქართველოსადმი ინტერესი ძალზე დიდია. შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი თემა მომავალ საბიუჯეტო წელს ამერიკის მთავრობის ფინანსური დახმარების საკითხი იყო. ბატონ ზურაბ ჟვანიას თქმით, მიღწეულია მნიშვნელოვანი შეთანხმებები იმ თანხების განკარგვის საკითხშიც, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რომ გამოუყო საქართველოს, აღნიშნული თანხების მიზნობრივი განკარგვის თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლებას გაცილებით მეტი თავისუფლება მიენიჭა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, მსოფლიოს ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბების პროცესში საქართველოს როლით დაინტერესება სულ უფრო მეტად იზრდება ამერიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამეცნიერო წრეებში. ამერიკელთა შეფასებით, საქართველომ შექმნა სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაციის ყველაზე ეფექტიანი მოდელი და უნიკალური საერთაშორისო ფუნქცია შეიძინა. სწორედ საქართველოს აქვს ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი და, ამ თვალსაზრისით, იგი მსოფლიოში მესამე ადგილზე იმყოფება.

ბატონ ზურაბ ჟვანიას თქმით, გამართული შეხვედრების ერთ-ერთი ცენტრალური თემა „აბრეშუმის გზა“ იყო. დიდი ინტერესით ეკიდებიან საქართველოში ნავთობსადენის გატარების იდეას და ამას საკუთარი ენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოების გარანტიის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად მიიჩნევენ. პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, საქართველო დღეს უკვე ეკონომიკური ბუმის კარიბჭესთან იმყოფება, რისთვისაც საჭიროა სათანადო პირობებისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მსხვილი ინვესტორები და საწარმოები მზად არიან განახორციელონ კონკრეტული პროექტები, თუმცა, ბატონ ჟვანიას თქმით, ამერიკაში გამართულმა შეხვედრებმა ისიც ცხადყო, რომ საქართველოში არსებული კორუფციის პრობლემა შიდაპოლიტიკური პრობლემების ფარგლებს გასცდა და, შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე.

პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ძირეული ცვლილებებია მოსალოდნელი აფხაზეთში კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების საქმეში, რასაც მოწმობს გაეროში გამართული შეხვედრები. იქ არაერთგზის აღინიშნა, რომ დაუშვებელია კონფლიქტის კიდევ უფრო გაჭიანურება და, რაც მთავარია, ლტოლვილთა საკითხის მოუგვარებლობა.

საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ ტენდენციებთან დაკავშირებით ჟურნალისტთა შეკითხვების პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მაშინ, როცა საქართველო რეალურად დგას მნიშვნელოვანი გარდატეხის მიჯნაზე, არსებობენ ძალები, რომლებიც საქართველოში პოლიტიკური კრიზისისა და დესტაბილიზაციის პროვოცირებას ცდილობენ.

„მიმდინარე წელი, მართლაც, სასიცოცხლო მნიშვნელობის წელია საქართველოსთვის: ჩვენ ან მოვახერხებთ, ჩვენი ნებისყოფის წყალობით საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და გავხდეთ დასავლეთის სამყაროს სრულუფლებიანი წევრი, ან დავუშვებთ დესტაბილიზაციას და დავბრუნდებით იმ ქაოსში, რომელშიც სულ ახლახანს ვიმყოფებოდით“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე პარლამენტის თავმჯდომარემ.

რაც შეეხება ამ ბოლო ხანს ცენტრსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის შექმნილ ვითარებას, ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ფედერალური მოწყობის ელემენტები არსებობს, ხშირია კამათი უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე, და ამისგან ტრაგედიას არ ქმნიან. რაც შეეხება დიალოგს, იგი აუცილებლად გაგრძელდება და ყველა პრობლემა სახელმწიფოს კონსტიტუციისა და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მოწესრიგდება, განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქინფორმი.

## დაზუსტება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული ნოდარ გრიგალაშვილის წერილის **„შემლილო, შემლილო, შემლილო... საქართველო!“** მეორე სვეტის მეორე და მეოთხე აბზაცებში უნდა იკითხებოდეს:

**„ბრძოლა პირველ ეტაპზე კუტუზოვმაც წააგო ნაპოლეონთან“.**

**„აბა, როგორი წარმოსადგენია, კუტუზოვს რომ ნაპოლეონისათვის ბოდიში შეეთვალა“...**

## კანონმდებლები

### საერთო ეროვნულ საქმეს რომ არ ევნოს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს 14-17 აპრილის პლენარული სხდომის დღის წესრიგი. კანონპროექტმა „საქართველოში საჯარო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობათა რანგირებისა და რანგირებულ თანამდებობებზე მყოფი პირების საქმიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ კვლავ კამათი გამოიწვია.

პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აშკარაა მცდელობა, ხელოვნურად შეიქმნას კრიზისი, ამ პრობლემის გაზვიადება ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას ქვეყანაში ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაციის წამოწყებისათვის სჭირდება. ზურაბ ჟვანიას განმარტებით, ფრაქცია „აღორძინების“ წევრებთან ხვალვე დაიწყება კონსულტაციები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მათ მიერ შემოთავაზებულ მოთხოვნებსა და შეხედულებებზე, ასეთივე შეხვედრები გაგრძელდება სხვა ფრაქციებთანაც. სავარაუდოდ, დებატები აჭარის პრობლემას, ზოგადპოლიტიკურსა და ეკონომიკის საკითხებს შეეხება.

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღეს საქართველო პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებს შორის ყველაზე სტაბილურია, სახელმწიფოში გრძელდება მნიშვნელოვანი და დადებითი ცვლილებები ყველა მიმართულებით და ამისათვის, თუნდაც პოლიტიკური ბრძოლის რეალიების ფონზე, საჭიროა, რომ საერთო ეროვნულ საქმეს არ ევნოს.

### პური ჩვენი არსობისა?

საქართველოში იმპორტირებული ხორბლის ფქვილის ხარისხის შესახებ იმსჯელეს დღეს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საგანგებოდ შემოწმებული ხორბლისა და პურ-პროდუქტების ზოგიერთ ნიმუშში დაფიქსირდა ტოქსიკური ელემენტების (კერძოდ ტყვიის) შემცველობა ნორმაზე — 100-250 პროცენტამდე მეტი რაოდენობით, აღმოჩენილია სხვა დარღვევებიც. ყოველივე ეს, როგორც შეხვედრაზე ითქვა, ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, იწვევს ნერვიული სისტემის და შინაგანი ორგანოების ფუნქციათა მოშლას, აქვს კარცენოგენური და მუტაგენური თვისებები.

## კონტაქტები

# საქართველო-უკრაინა: მეგობრობისა და თანამშრომლობის დიალოგი

საქართველო-უკრაინის ურთიერთობა დასაბამს საუკუნეთა სიღრმეში იღებს. ორი მოძმე ხალხის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, მწერლებმა, მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს ჩვენი ქვეყნების მეგობრობის მატიანეში. ახლა, როცა საქართველო და უკრაინა დამოუკიდებელ, თავისუფალ სახელმწიფოებს აშენებენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არსებული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება და გაღრმავება, ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარება. სწორედ თანამედროვე რეალიებმა განაპირობა ხუთი წლის წინათ უკრაინასა და საქართველოს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის აუცილებლობა. ამ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „უკრაინა-საქართველოს ურთიერთობა: ტრადიციები და თანამედროვეობა“, რომელიც 11 აპრილს გაიხსნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კონფერენცდარბაზში.

გამოფენის ორგანიზატორი სწორედ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროა.

უკრაინის დელეგაციას მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ხანდოგი. კონფერენციაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა და მოხსენება „საქართველო-უკრაინის ურთიერთობა — საქართველოს პოლიტიკის სტრატეგიული ვექტორი“ წაიკითხა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ ხანდოგმა განაცხადა:

ჩვენმა ურთიერთობამ გაუძლო დროის გამოცდას. ეს საშუალებას გვაძლევს კვლავაც დინამიკურად განვავითაროთ იგი.

## თვალსაზრისი

# საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის განცხადება

რუსეთის ფედერაციის სათათბირომ ა.წ. 8 აპრილს მიიღო დადგენილება „საქართველოში მყოფი რუსეთის სამხედრო ბაზების უძრავი ქონების ობიექტების საქართველოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის მთავრობის მოვალეობის შემსრულებლის სერგეი კირიენკოს უკანონო ქმედებების შესახებ“. საგულისხმოა, რომ დადგენილებას, რომელიც კომუნისტი დეპუტატების მიერ იყო შემუშავებული, მხარი დაუჭირა 234 პარლამენტარმა, წინააღმდეგი არავინ იყო, ხოლო 5-მა თავი შეიკავა.

იმისათვის, რომ ყველასთვის ნათელი იყოს, თუ რაზეა საუბარი, განვმარტავთ, რომ — ე.წ. „რუსეთის სამხედრო ბაზების უძრავი ქონება“ — საერთაშორისო კონვენციებისა და ასევე რუსეთთან ხელმოწერილი შეთანხმებების თანახმად არის საქართველოს კუთვნილი აეროდრომები, შენობები, სტაციონარული ნაგებობანი და კომუნიკაციები, რომლებიც დროებით სარგებლობისთვის გადაეცა რუსეთის ფედერაციას სამხედრო ბაზების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

საქართველო, მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთებითა და უძრავი ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ სრულიად სამართლიანად ითხოვს შესაბამის კომპენსაციას, რომლის რაოდენობა და ფორმა ორმხრივი მოლაპარაკების პროცესში განისაზღვრება და აითვლება საქართველოში განლაგებული ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში გადასვლის დღიდან. აქედან გამომდინარე რუსი სამხედროების გადაწყვეტილება, გადმოსცენ საქართველოს ის ობიექტები, რომლებიც მას აღარ სჭირდებათ, სრულიად გასაგებია.

აღსანიშნავია, რომ შეთანხმება იმ 10 ობიექტის შესახებ, რომელთა უმრავლესობა განადგურებულია და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელია, მიღწეული იყო ჯერ კიდევ 1997 წლის 9 დეკემბერს საქართველოსა და რუსეთის სამთავრობო კომისიების შეხვედრის დროს და დაფიქსირდა შესაბამის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს რუსეთის მთავრობის მაშინდელი ვიცე-პრემიერი ვ. სეროვი.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სამხედრო უწყება ქართველი კოლეგების თანხმობით ცდილობს დანგრეული ობიექტების მიღება-ჩაბარების უბრალო ტექნიკური პროცედურა წარმოაჩინოს, როგორც საქართველოს ჯარის აღმშენებლობაში გაწეული პირუთვნელი დახმარების ნათელი მაგალითი. ამის დასტურად ა.წ. 4-8 იანვარს საქართველოში ჩამოდის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია 45 (!) კაცის შემადგენლობით, მათ შორის 17 (!) გენერალი...

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის სათათბიროს დადგენილება, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი და აბსურდულია. სრულიად ნათელია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას დეპუტატების მთავარი სამიზნე რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი სერგეი კირიენკო იყო, თუმცა ის გარემოება, რომ სათათბიროს დეპუტატები ასე იოლად და უხეშად, მეზობელი სუვერენული ქვეყნის ხარჯზე წყვეტენ შიდა პოლიტიკურ პრობლემებს, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მათ განსაკუთრებულ „კეთილგანწყობაზე“ საქართველოს მიმართ.

სამწუხაროდ, რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ასეთი დამოკიდებულება სულ უფრო ხშირად იჩენს თავს რუსეთის საგარეო უწყებაშიც, რომელმაც სათათბიროს მიერ საქართველოსადმი მორიგი არამეგობრული დამოკიდებულების გამოხატვამდე ერთი დღით ადრე გამოაქვეყნა განცხადება, სადაც საქართველოს მმართველ პარტიასთან ერთად ქართველ დეპუტატებს ბრალად დასდო — „ანტირუსული კამპანიის გაჩაღება და კოორდინაცია“.

სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უარყოფითი რეაქცია — რუსეთის სათათბიროს მიერ საქართველოსათვის სამხედრო ობიექტების გადმოცემის თაობაზე მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით — შეფასდება, როგორც „რუსეთის სახით გარეშე მტრის ხატის“ შექმნის კიდევ ერთი მცდელობა. მიუხედავად ამისა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი აცხადებს რუსეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების იმ პირთა საყურადღებოდ, რომლებიც „ნიანგის ცრემლებს“ ღვრიან საქართველოსა და რუსეთის მრავალსაუკუნოვანი კავშირების მესუსტებისა და განცხადებული „სტრატეგიული პარტნიორობის“ ბუნდოვანი პერსპექტივის გამო, რომ საქართველომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ნათლად გამოეხატა თავისი მზადყოფნა რუსეთთან ჭეშმარიტად სტრატეგიული კავშირების დასამყარებლად, რასაც რუსეთის მხრივ არაადეკვატური პასუხი მოჰყვა.

საქართველოს საზოგადოებრიობა საკმარისზე მეტად არის „განებივრებული“ რუსეთის ხელისუფლების სტრუქტურებისა და ხელმძღვანელი პირების აშკარად არამეგობრული ქმედებებითა და განცხადებებით.

დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ნდობის ფაქტორი ორ ქვეყანას შორის კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, ისე როგორც საქართველოს მთელი საზოგადოებრიობა, იმედოვნებს, რომ რუსეთის ხელისუფლების საღად მოაზროვნე ნაწილი რეალურად შეაფასებს შექმნილ მდგომარეობას და ქმედით ნაბიჯებს გადადგამს საქართველოსთან ჭეშმარიტად კეთილმეზობლური და სტრატეგიული პარტნიორობის დასამყარებლად.

პოზიცია

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

1998 წლის 7 აპრილს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ცნობა პრესისათვის. იგი ეხება საქართველოში „ანტირუსულ კამპანიას", რომელიც არანაირად არ არის პროვოცირებული და რომელსაც, რუსეთის მხარის აზრით, „ტონს აძლევენ მმართველი პარტიის წარმომადგენლები – საქართველოს პარლამენტის დეპუტატები".

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ასეთი ინფორმაციები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. სინამდვილეში ყველაფერი ის, რაც სამინისტროს ცნობაში „აშკარად კოორდინირებულ" ანტირუსულ კამპანიად არის წარმოდგენილი, სხვა არა არის რა, თუ არა საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეებისა და ქვეყნის პარლამენტის წევრების ბუნებრივი რეაქცია მთელ რიგ არაკორექტულ, ზოგჯერ ძნელად ასახსნელ მოქმედებებზე, რომელსაც რუსეთის ფედერაციის – საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოს ცალკეული წარმომადგენლები სჩადიან.

მაგალითად, არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფო სათათბიროს დღემდე არ მოუხდენია მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელსაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ოთხ წელიწადზე მეტი ხნის წინათ მოაწერა ხელი. ბუნებრივია საქართველოს საზოგადოებრიობის აღშფოთება იმით, რომ რუსეთის მიერ ნაკისრი ცნობილი ვალდებულებების მიუხედავად, იზრდება აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან რუსეთის ფედერაციის სამინისტროების, სუბიექტების, ხელისუფლების ორგანოთა თანამშრომლობა. სავსებით გასაგებია სახელმწიფო სათათბიროს ბოლო გადაწყვეტილებით გამოწვეული აღშფოთებაც, რომელმაც განიზრახა განკარგოს სხვისი ქონება და გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ საქართველოს დაუბრუნდეს მისი კანონიერი საკუთრება – უძრავი ქონება, რომელიც წინათ დროებით გადაეცა რუსეთის ფედერაციას სამხედრო ბაზების საჭიროებებისათვის და ახლა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის აზრით, მისი გამოყენება აღარ არის საჭირო. რა თქმა უნდა, საქართველოში რეაგირებენ იმაზეც, რომ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხშირად იბეჭდება ჩვენი ქვეყნის მიმართ მტრული, პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი წევრების მიმართ აშკარად შეურაცხმყოფელი პუბლიკაციები, რომელთა ავტორები არიან არა მარტო ჟურნალისტები, არამედ საკმაოდ ცნობილი მოღვაწეები, პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, სხვადასხვა ანალიტიკური და კვლევითი ცენტრები.

საქართველოს ხელმძღვანელობას არაერთხელ განუცხადებია და კვლავაც იმით ხელმძღვანელობს, რომ მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს არასდროს არ მიუციათ იმის საბაბი, რომ ზემოთ ნახსენები ინფორმაციის ავტორებს არაკორექტული, აშკარად პროვოკაციული გამოთქმები ეხმარათ.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაში ეხებიან „ჩვენს ქვეყნებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის განვითარების" საკითხს. საიმედო პარტნიორობა კი მხოლოდ და მხოლოდ, თანაბარუფლებიანობის, პატივისცემისა და ინტერესების ურთიერთგათვალისწინების საფუძველზეა შესაძლებელი.

1998 წლის 9 აპრილი.
საქინფორმი.

ორბიტაზე

# ვარშავის ბიურო დადებითად აფასებს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობას

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივი საბჭოს 2 აპრილის სხდომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ვარშავის ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ბიუროს დირექტორის ჟერარ სტუდმანის ანგარიში, რომლის ძირითადი თემები იყო ვიზიტები აზერბაიჯანში, საქართველოში, სომხეთში, მონიტორინგი საპარლამენტო არჩევნებზე მოლდოვასა და უკრაინაში და საპრეზიდენტო არჩევნებზე – სომხეთში.

ელჩმა სტუდმანმა აღნიშნა, რომ საქართველოში მას მეტად საინტერესო შეხვედრები ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. მისი შეფასებით, ქვეყანაში შექმნილია საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისი კარგი საკანონმდებლო ბაზა და საჭიროა მუშაობა მიღებული კანონების იმპლემენტაციაზე. იგი მიესალმა საქართველოში ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას და განაცხადა, რომ ვარშავის ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ბიურო აქტიურად დაეხმარება საქართველოს ამ ინსტიტუტის სრულყოფაში. ამასთან, ვარშავის ბიურო, სოროსის ფონდთან და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ერთად, მომავალში აპირებს მუშაობას პროექტებზე, რომლებიც ითვალისწინებს პოლიციის აკადემიის მსმენელთა სწავლებას და ეგრეთ წოდებული „ჩაწერის" სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა სარეგისტრაციო კანონმდებლობის შემუშავებას.

ჟერარ სტუდმანმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით დელეგაცია იმყოფებოდა აფხაზეთში, სადაც შეხვდა აფხაზეთის ეგრეთ წოდებული ხელისუფლების წარმომადგენლებს. ეს შეხვედრები, დელეგაციის ხელმძღვანელის შეფასებით, არ იყო ეფექტიანი, რადგანაც იქაური ხელმძღვანელობა არ გამოხატავს დიალოგის სურვილს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ვარშავის ბიუროს გადაწყვეტილი აქვს საქართველოში ეუთოს მისიასთან ერთად სამოქალაქო დიპლომატიის ფარგლებში მოაწყოს ქართველი და აფხაზი ომის ვეტერანების შეხვედრა სოჭში. ვარშავის ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ბიურო მომავალში შეეცდება აქტიური დახმარება გაუწიოს გაეროსა და ეუთოს ადამიანის უფლებათა ერთობლივ ოფისს სოხუმში.

ცხინვალის რეგიონში, ვარშავის ბიუროს დირექტორის შეფასებით, სერიოზული წინსვლა შეიმჩნევა კონფლიქტის მოგვარებაში, თუმცა არსებობს პრობლემა საქართველოს მიდა რაიონებში დაბრუნებულ ლტოლვილთა ქონების აღდგენის საკითხებში. როგორც სტუდმანმა განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება გამოხატავს პოლიტიკურ ნებას, ეს პრობლემა მოაგვაროს სათანადო კანონმდებლობის შექმნის გზით.

ჟერარ სტუდმანმა გამოთქვა იმედი, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა წლის ბოლომდე გააფორმებს ურთიერთგაგების მემორანდუმებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ვარშავის ბიუროსთან.

ვარშავის ბიუროს დირექტორმა საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა სომხეთში გამართული პრეზიდენტის არჩევნები. მან განაცხადა, რომ როგორც პირველ, ასევე მეორე რაუნდშიც იყო სერიოზული დარღვევები საარჩევნო უბნებში. პროკურორი, რომელიც დარღვევებს იძიებდა, მეორე რაუნდის წინ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეუთოს დამკვირვებელთა მისიას დაბრკოლებებს უქმნიდა ევროპის საბჭოს წარმომადგენელი, რომელიც ევროპის საბჭომ პირველი რაუნდის შემდეგ გაათავისუფლა. საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ეს პიროვნება არჩევნების შემდგომ პრესკონფერენციაზე გამოვიდა სომხეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახელით. ვარშავის ბიუროს დირექტორის შეფასებით, ამგვარი ფაქტები დაუშვებელია.

ჟერარ სტუდმანის გამოსვლას მიესალმნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის დელეგაციები, აგრეთვე, საქართველოს დელეგაცია აზერბაიჯანის, უკრაინისა და მოლდოვის დელეგაციების სახელით (აპრილში სუამის ჯგუფს საქართველოს დელეგაცია თავმჯდომარეობს).

საქინფორმი.

რეტრო



# ფხიანი ქართველები და იური გაგარინი

წუთიერია სოფელი, წამიერი კი – ბედნიერება. თუმცა ერთ წუთისოფელს უამრავი ბედნიერი წამიც ახლავს თან. წამი გაფრენილი, მაგრამ ზოგჯერ ფოტოკადრით უკვდავყოფილი და სიცოცხლის ბოლომდე ტკბილმწარე მოგონებების ამშლელი.

ეს ფოტოც შეჩერებული წამია, რომელიც მის მთავარ გმირს, საქართველოს გეოდეზიური საზოგადოების პრეზიდენტს, ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გეოდეზიისა და მარკშაიდერის კათედრის გამგეს, პროფესორ მერაბ თევზაძეს (მარცხნიდან მესამე) 1962 წლის მარტის ერთ მშვენიერ საღამოს აგონებს:

კინომოყვარულთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეთა საკავშირო თათბირზე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ახალგაზრდები შეიკრიბნენ. მათ შორის საქართველოს დელეგაციის წევრები, რომლებიც საქმიანი სჯა-ბაასის შემდეგ ბანკეტზეც მოიწვიეს. რარიგ გაიხარა ბატონმა მერაბმა, როცა მეზობელ სუფრასთან, ყოფილ სსრკ კომკავშირის ცეკას მდივნებთან ერთად მჯდარი, პირველი კოსმონავტი იური გაგარინი დაინახა. იჯი მას ერთხელ უკვე 1961 წლის ივნისში შეხვედრია. ბატონი მერაბი მაშინ, როგორც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, მოსკოვში გამართულ სსრ კავშირის უმაღლესი სკოლის საკავშირო თათბირზე მოწვეულ ორმოცდაათკაციან დელეგაციას ახლდა. სრულიად ახალგაზრდამ იური გაგარინი საკუთარი ინიციატივით გაიცნო. პირველ კოსმონავტთან მეგობრული ურთიერთობა თავისთავად ჩამოყალიბდა. ახლა იურის მეორედ ხედავდა და გამოლაპარაკების მანხის ხელიდან გაშვებაც არ სურდა. მერაბ თევზაძე გაგარინთან მივიდა, თავი შეახსენა და საქართველოს დელეგაციასთან ერთად სურათის გადაღება სთხოვა.

– გაგარინი დამთანხმდა, მაგრამ მარია ჟურაველიოვამ, კომკავშირის ცეკას იდეოლოგიის მაშინდელმა მდივანმა, ხელები გაასავსავა – თქვენი მეშხედვარე სხვა დელეგაციაც იგივეს მოინდომებს, სტუმარი გადაიღლება და სიამოვნების ნაცვლად გაიტანჯებაო. იყო ლოგიკა მის მსჯელობაში, მაგრამ ჩვენ სხვა ლოგიკა გვამოძრავებდა და ქართველი რის ქართველია, ფარ-ხმალი უცებ დაყაროს. უარმა უფრო აგვანთო და გადავწყვიტეთ, რაღაც უნდა დაგვჯდომოდა, ჩვენი გაგვეტანა. ფოტოაპარატიანი ერთი ჩვენი მეგობარი იმ ადგილას ჩავასაფრეთ, სადაც ვიგუმანეთ, რომ ადრე თუ გვიან გაგარინი გაივლიდა და ჩვენც გავფაციცდით. მართლაც, ვხედავთ, კოსმონავტი წამოდგა მაგიდიდან და ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ წინ გადავუდექი, ხელმკლავი გამოვდე, გავიღიმე და წამით შევაჩერე, ამასობაში დელეგაციის წევრებიც გარს შემოგვერტყნენ და, მიუხედავად კოსმონავტის დაცვის ბიჭების წინააღმდეგობისა, ფოტოაპარატმა ჩაჩხაკუნება მოასწრო. ასე აღვიბეჭდეთ ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ: არმაზ სანებლიძე, დაცვის ქალ-ვაჟი, მერაბ თავზაძე, ალკაზარ კაკულია, იური გაგარინი, ისევ დაცვის ოფიცერი, სერმოლ მესხი და თამაზ სიხარულიძე.

რა თქმა უნდა, ასეთმა „თავხედობამ" დიდად აღაშფოთა მარია ჟურაველიოვა, რამაც სიხარული, ცოტა არ იყოს, გაგვიფერმკრთალა. რაღაც უნდა გველონა, და გაჭირვებამ, მოგეხსენებათ, დედოფალთან დამაწვინაო: როგორც კი ტანგო დაუკრეს, ავდექი და პირდაპირ მარია ჟურაველიოვა მივიწვიე საცეკვაოდ. მეცეკვა, მაგრამ ვხედავ თვალებში მრისხანება ჩადგომია, მეც ავდექი და, უპირველესად, ჩვენი მოქმედების გამო მოვუბოდიშე, შემდეგ, როგორც ყამირელმა, იმდროინდელი ამბები შევახსენე და ერთი საერთო ნაცნობის, კარგი ქართველის სახელიც ვუხსენე, დაძაბულობაც გაქრა. ასე გადავრჩით ქართველები მაშინ კომკავშირიდან გარიცხვასა და სამსახურიდან მოხსნასაც, – გულიანად იცინის ბატონ მერაბი და საკუთარი ფხიანობით კმაყოფილებასაც არ ფარავს.

სურათი დაიბეჭდა და სამახსოვროდ ყველას ერგო, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ბატონ მერაბ თევზაძის სურათს თვითონ იური გაგარინის ავტოგრაფი ახლავს.

ეს როგორ?

– კვლავ გამიმართლა. 1963 წელს, როცა მოსკოვში ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩასაბარებლად ჩავედი, სასტუმრო „იუნოსტში" გავჩერდი (როგორც მისი მშენებლობის მონაწილეს, წელიწადში ერთი თვე იქ უფასოდ ცხოვრების უფლება მქონდა). ჩემს მეგობარ გაგარინს კვლავ შევხვდი. იგი „იუნოსტის" საპარიკმახეროში სწორედ იმ ოსტატთან დადიოდა, ვისთანაც მე. როგორ გგონიათ, ამ შანსს ხელიდან გავუშვებდი? ჩვენი მეგობრობა სურათითაც შევახსენე და ავტოგრაფიც ვთხოვე. ამის შემდეგ იგი სიკვდილამდე ჩემი უახლოესი მეგობარი გახლდათ.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№87, კვირა, 12 აპრილი, 1998 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგამ გია მეფარიშვილის (თავმჯდომარე), ავთანდილ აბაშიძის, ლამარა ჩორგოლაშვილის (მომხსენებელი) და ზაურ ჯინჯოლავას შემადგენლობით მეორე კოლეგიის გამწესრიგებელ სხდომაზე 1998 წლის 31 მარტს გამოიტანა განჩინება საქმეზე — „თორნიკე ბაქრაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.**

**დავის საგანი იყო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 14 აპრილის № 274 გ განკარგულება.**

**საქმის განხილვაში მონაწილეობდა მოსარჩელე თორნიკე ბაქრაძე.**

**სხდომის მდივანი — თამარ გაჩეჩილაძე.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მე-2 კოლეგიამ ღია სასამართლო სხდომაზე

### გამოარკვია:

1997 წლის 24 აპრილს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მომართა საქართველოს მოქალაქე თორნიკე ბაქრაძემ.

კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მოითხოვს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღოს მისი კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 14 აპრილის № 274 გ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა 1995 წლის 22 ივნისს მიიღო დადგენილება „გია აბესაძის ქ. № 10 შენობის თბილისის ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ“, რითაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 44-ე მუხლის მოთხოვნები.

როგორც საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, ქ. თბილისში, გია აბესაძის ქ. № 10-ში მდებარე შენობა, 1988 წლის 28 ივნისს, ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა თეატრ-სტუდია „მეტეხს“. ვინაიდან შენობა ავარიულ მდგომარეობაში იყო და მისი ექსპლუატაცია რეკონსტრუქციის გარეშე შეუძლებელი იყო, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტრომ სახსრების უქონლობის გამო ვერ შესძლო აღდგენითი სამუშაოების შესრულება, მან ქალაქის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენა საკითხი ამ შენობის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაული საზოგადოების კვლევის ასოციაციისათვის იჯარით გადაცემის შესახებ, რის საფუძველზეც მიღებული იქნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 23 მაისის განკარგულება, მაგრამ ხელშეკრულება არ გაფორმებულა იმის გამო, რომ ვერ შესრულდა თეატრისათვის სხვა შენობის გამოყოფის პირობა. ამ პირობის შეუსრულებლობამ საშუალება მისცა თეატრის კოლექტივს 1992 წლის 1 ოქტომბერს № 24 წერილით მიემართა საქართველოს კულტურის სამინისტროსათვის შენობის ჩაბარებასთან დაკავშირებული წერილის ბათილად ცნობაზე, ხოლო შემდეგ, 1992 წელს გაეფორმებინა საიჯარო ხელშეკრულება ქ. თბილისის პროფესორ ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტთან, რომელიც იღებდა შენობის აღდგენის და მისი შემდგომი ექსპლუატაციის ვალდებულებას.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ვინაიდან ის წარმოადგენს იმ ორგანიზაციას (ქ. თბილისის პროფესორ ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელია), რომელმაც მონაწილეობა მიიღო შენობის, მიმდებარე ტერიტორიის აღდგენასა და კეთილმოწყობაში და გაწეული აქვს გარკვეული ხარჯები, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ზემოაღნიშნულმა განკარგულებამ დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლება. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული საკუთრების უფლება და ამიტომ, იგი უფლებამოსილია კონსტიტუციური სარჩელით მომართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის განკარგულების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 5 თებერვლის № 34 განკარგულებით „თბილისში ებრაელთა სასაფლაოს ხელყოფის ფაქტის შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა განეხილა და ხელი შეეწყო საქართველოს ებრაელთა მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის პროგრამის განხორციელება.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 5 თებერვლის № 34 განკარგულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, 1994 წლის 14 აპრილს, გამოსცა № 274 გ განკარგულება, რომლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამმართველოს, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში „განიხილონ და ოპერატიულად გადაწყვიტონ ებრაელთა სალოცავი შენობების თავდაპირველი, კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების, მათი პირვანდელი დანიშნულებით ამოქმედებისა და ებრაული საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის იმ შენობის გამოყოფის საკითხი, რომელიც ადრე ებრაულ საზოგადოებებს ეკუთვნოდათ და მჭიდროდ არიან დაკავშირებული მათ ისტორიასა და კულტურასთან“.

1995 წლის 22 ივნისს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის № 12.64.530 დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 14 აპრილის № 274 გ განკარგულების მე-2 პუნქტის შესასრულებლად, დაკმაყოფილდა ქ. თბილისის ებრაელთა საზოგადოების თხოვნა და პირვანდელი დანიშნულებით (ებრაელთა თემის სამლოცველო) ამოქმედების მიზნით, ებრაელთა საზოგადოებას გადაეცა საკუთრების უფლებით გია აბესაძის ქ. № 10-ში მდებარე ყოფილი სინაგოგის შენობა.

1997 წლის 8 ივლისს, ქ. თბილისის მერმა თავისი № 69 განკარგულებით „გია აბესაძის № 10 შენობის თბილისის ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ“, გააუქმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის № 19.64.530 დადგენილება „გია აბესაძის ქ. № 10 შენობის თბილისის ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ“, როგორც ნაადრევი და უსწორო. ამჟამად, ქ. თბილისში, გია აბესაძის ქ. № 10-ში განთავსებული შენობის, როგორც სახელმწიფო (მუნიციპალური) საკუთრების ობიექტის საკითხი, გარკვეული არ არის და დავა განიხილება საერთო იურისდიქციის სასამართლოში.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ თორნიკე ბაქრაძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 14 აპრილის № 274 გ განკარგულების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად შემდეგი გარემოების გამო:

1. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით. მოსარჩელის მიერ სადავოდ მიჩნეული სამართლებრივი აქტი – საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 14 აპრილის № 274 გ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმატიულ აქტად, რადგან მისი გამოცემით არ მომხდარა სამართლის ნორმის არც დადგენა, არც გაუქმება და არც შეცვლა. სადავო აქტი არ შეესაბამება საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, არ შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის წესს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სადავო განკარგულება მოიცავს ინდივიდუალური ხასიათის დავალებებს ცალკეული სახელმწიფო ორგანოების მიმართ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის აღნიშნული განკარგულება გამოცემული იყო იმ დროს მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 22 დეკემბრის კანონის „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ (ძალადაკარგულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 12 აგვისტოს № 30 დადგენილებით), რომლის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული იყო, რომ არანორმატიული ხასიათის გადაწყვეტილებანი, ოპერატიულ ან სხვა მიმდინარე საკითხებზე, გამოიცემოდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის განკარგულების სახით, რომელიც არ ქვეყნდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებულში.

ამრიგად, მოსარჩელის მიერ სადავოდ დასახელებული სამართლებრივი აქტი არანორმატიული ხასიათისაა და ამიტომ იგი არ არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი.

იხელმძღვანელა რა, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 33-ე მუხლით, საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ მე-16 მუხლით, მე-18 მუხლის „ვ“ პუნქტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

### ადგენს:

1. მოქალაქე თორნიკე ბაქრაძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 14 აპრილის № 274 გ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით – არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად და სამართალწარმოება საქმეზე შეწყდეს;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;
3. განჩინება ოფიციალური ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდეს 7 დღის ვადაში.

კოლეგიის წევრები:
**გ. მეფარიშვილი**
(თავმჯდომარე);
**ა. აბაშიძე;**
**ლ. ჩორგოლაშვილი**
(მომხსენებელი);
**ზ. ჯინჯოლავა.**

# განსხვავებული აზრი

**საქმეზე: „თორნიკე ბაქრაძე — საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“**

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას 1994 წლის 14 აპრილის № 274 (გ) განკარგულების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 1998 წლის 31 მარტის განჩინებით არ მიიღო არსებითად განსახილველად თორნიკე და ბექა ბაქრაძეების, მერაბ თავაძის კონსტიტუციური სარჩელი იმ მოსაზრებით, რომ პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას 1994 წლის 14 აპრილის № 274 (გ) განკარგულება არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად კოლეგიის განჩინებასთან დაკავშირებით ვრჩები განსხვავებულ აზრზე.

მიმაჩნია, რომ როდესაც კოლეგიამ მიუთითა, „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ 1992 წლის 22 დეკემბრის კანონის შესაბამისად პრემიერ-მინისტრის განკარგულება გამოიცემა ოპერატიულ ან სხვა მიმდინარე საკითხებზე, არ ექვემდებარებოდა გამოქვეყნებას და ამიტომ იგი არ ჩაითვალა ნორმატიულ აქტად, კოლეგია გამოდიოდა იქიდან, რომ სადავო სამართლებრივ აქტს ჰქონდა განკარგულების ფორმა და მისი მხედველობის მიღმა დარჩა განკარგულების შინაარსი, რომელიც ადგენდა მრავალჯერადი გამოყენების ქცევის წესს, სახელდობრ, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს აძლევდა სავალდებულო მითითებას გადაეწყვიტა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი – ებრაელთა სალოცავი შენობების, ებრაული საზოგადოებების კუთვნილი შენობების თავდაპირველი კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება; განკარგულება მოქმედებდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ეხებოდა არა კონკრეტულ პირს, არამედ პირთა ფართო წრეს და მაშასადამე, შინაარსობრივად არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს და მით უმეტეს – პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას ოპერატიულ საკითხებზე.

მხედველობაშია მისაღები, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ სადავო განკარგულების მიღებისას სამართლებრივი აქტის კლასიფიკაცია, მისი სახეების გამიჯვნა არ იყო მოწესრიგებული საკანონმდებლო წესით და იგი გვიან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონმა გადაწყვიტა. მხოლოდ ის გარემოება, რომ დღეისათვის განკარგულება არ არის შეტანილი ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში, თავისთავად არ წარმოადგენს საფუძველს აქტის ნორმატიულობის დასადგენად, ვინაიდან არ არის გარკვეული, იყო თუ არა ეს აქტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში განხილვის საგანი.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის ძალაში შესვლამდე მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების საკითხს, სამართლებრივი აქტის შინაარსიდან გამომდინარე, მიუხედავად მათი დასახელებისა, ე. ი. ფორმისა, იუსტიციის სამინისტრო წყვეტს. ასეთ პირობებში, როდესაც კანონი მანამდე მიღებული სამართლებრივი აქტის ნორმატიულად ჩათვლისათვის არსებით მომენტად მისი შინაარსის და არა ფორმის გარკვევას მოითხოვს, კანონი ამ უფლებამოსილებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აძლევს, კოლეგიას ამ უკანასკნელთან ერთად უნდა გაერკვია ეს საკითხი და არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი ერთმნიშვნელოვნად მიეჩნია სადავო განკარგულება არანორმატიულად.

მით უფრო, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული განკარგულება დღემდე გაუქმებულად არ ითვლება, მის საფუძველზე მიღებულ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის № 12.67.530 დადგენილება, რომელმაც აბესაძის ქ. № 10-ში მდებარე შენობა საკუთრების უფლებით გადასცა ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას პირვანდელი დანიშნულებით (ებრაული თემის სამლოცველო) ამოქმედების მიზნით. მართალია, ეს დადგენილება შემდგომში გაუქმდა ქ. თბილისის მერიის № 69 განკარგულებით, მაგრამ მხოლოდ ფაქტის დაუდგენლობის მოტივით – მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ იძლევა ებრაელთა საკულტო ნაგებობად მისი მიჩნევის საფუძველს, რაც არ გამორიცხავს ამ საკითხის ხელახლა დაყენების შესაძლებლობას და მაშასადამე, დავა დამთავრებულად არ ჩაითვლება.

მიმაჩნია, რომ მხოლოდ საქმის არსებითად განხილვის დროს უნდა გარკვეულიყო პრემიერ-მინისტრის განკარგულების ფაქტობრივი ბუნება, ჰქონდა თუ არა პრემიერ-მინისტრს უფლებამოსილება ერთპიროვნულად მიეცა დავალება მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის გადაეწყვიტათ ებრაელთა ჩამორთმეული სალოცავი შენობების და კულტურის ძეგლების კანონიერი მფლობელებისათვის დაბრუნების საკითხი, მაშინ, როდესაც 20-იან წლებში მსგავსი რეპრესიების მსხვერპლი სხვა ერთვნების წარმომადგენლებიც აღმოჩნდნენ და მათი კუთვნილი შენობების ბედი დღემდე არ გადაწყვეტილა: უნდა გარკვეულიყო, ხომ არ ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის მე-14 მუხლით აღიარებული ყველა ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. მით უფრო, სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება, რომელიც საფუძველი გახდა პრემიერ-მინისტრის სადავო განკარგულების მიღებისათვის, საერთოდ არ შეიცავდა მითითებას ჩამორთმეული ნაგებობების დაბრუნების თაობაზე.

ვინაიდან 20-იან წლებში ნაგებობათა ჩამორთმევა მასობრივად მიმდინარეობდა, ამ პროცესმა მოსახლეობის ფართო ფენები მოიცვა და ათეული წლების განმავლობაში ამ ნაგებობებს სხვა პირები ფლობდნენ, რომელთა უფლებებიც არ შეიძლება გათვალისწინებულ არ იქნეს და ასეთ რთულ სიტუაციაში, როდესაც თავდაპირველი მესაკუთრეების უფლებების აღდგენა დღევანდელი მფლობელების უფლებების შელახვას იწვევს, ალბათ, საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ საქმის არსებითად განხილვის დროს ყველა მითითებული საკითხის გამორკვევის და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ უნდა მიეღო კოლეგიას შესაბამისი გადაწყვეტილება.

**ლამარა ჩორგოლაშვილი,**
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მეორე კოლეგიის წევრი,
მომხსენებელი მოსამართლე.

## მლოცველები მგზავრობის ხარჯებს „ამართლებენ“

მექაში მლოცველთა ყოველწლიური სტუმრობის ფინანსურ მხარეს ეხება საუდის გაზეთი „ერაბ ნიუსი“. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საუდის არაბეთმა 20 მილიარდ დოლარზე მეტი დააბანდა მექის ინფრასტრუქტურაში, ანუ წყალმომარაგებაში, გზების, გვირაბებისა და სამსხვერპლო სასაკლაოების მშენებლობასა და კეთილმოწყობაში. ნავთობის საბადოების აღმოჩენამდე მექაში მლოცველთა ჩასვლა ქვეყნის შემოსავლის მთავარი წყარო იყო. მექის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შეფასებით, წელს 1 მილიონ 200 ათასი უცხოელი მლოცველი მილიარდ-ნახევარ დოლარზე მეტს დატოვებს აქ კვების, სასტუმროს, სამსხვერპლო ცხოველებისა და სუვენირების საფასურად. ბევრი მორწმუნისათვის მექაში მგზავრობის ღირებულება, ეს კი დაახლოებით ერთ-ნახევარიორი ათასი დოლარია, მათი წლიური შემოსავლის ეკვივალენტურია, ამიტომ, ხშირად ირანიდან, აფრიკის ქვეყნებიდან და ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან ჩამოსული მლოცველები იძულებული არიან ვაჭრობას მისდიონ. გარდა ამისა, მორწმუნეებს შეუძლიათ ივაჭრონ სალოცავად სიარულის დროსაც, კერძოდ, გაზეთი „ელ მუსლიმუნი“ იშველიებს ყურანის სიტყვებს. ყურანი კომერციას მიიჩნევს საღვთო საქმედ, ხოლო ვაჭრობას განადიდებს, როგორც ალაჰის სიკეთეს.

## ამერიკელი ჩალოვის ამბავი ტყუილი გამოდგა



სიდნეიში აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა მიიღეს ცნობა, რომ 1 აპრილს ამ ქალაქის განთქმული ხიდის ქვეშ გაიფრენს „ბოინგ-747“. პრესის წარმომადგენლებმა ყურადღება არ მიაქციეს თარიღს და მოვლენის ადგილს მიაშურეს. აღნიშნულ დროს „ბოინგმა“ მართლაც გაიფრინა ხიდქვეშ. ოღონდ, ეს იყო თვითმავალ კარჭაპზე დადგმული ნატურალური სიდიდის მაკეტი და არა ნამდვილი „ბოინგი“.

## კლინტონის „ადვოკატია“ „მისს ამერიკა -82“



იმ ქალებს შორის, რომლებიც კლინტონის ნებაყოფლობით თუ იძულებით საყვარლობას იჩემებენ, ნამდვილად უანგარო გამონაკლისია 37 წლის ელისაბედ ჟორდ გრეისენი (სურათზე), რომელიც აღიარებს, რომ 15 წლის წინათ მაშინდელ არკანზასის გუბერნატორს გაუმიჯნურდა, მაგრამ ყველაფერი ორმხრივი თანხმობით მოხდა.

## რუსეთელ გერმანელებს ისტორიულ სამშობლოს ომსკის ოლქი ურჩევნიათ

ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებიდან და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან გერმანიაში საცხოვრებლად გადასულ ეთნიკურ გერმანელთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ, მიმდინარე წლის პირველი სამი თვის მანძილზე გერმანიაში მუდმივ საცხოვრებლად ჩავიდა 26 ათასი კაცი, — მესამედით ნაკლები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. იკლო, აგრეთვე ისტორიულ სამშობლოში გადასვლის მსურველების განცხადებათა რიცხვმა, რომლებსაც გერმანიის საზღვარგარეთის საელჩოები იღებდნენ. უფრო მეტიც, შეიმჩნევა საპირისპირო პროცესი — 120 გერმანული ოჯახი, რომლებიც წინა წლებში გადავიდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, 1997 წელს დაუბრუნდნენ ძველი ბინადრობის ადგილს — რუსეთის ომსკის ოლქს.

## მაზარინი — შვილი მიტერანისა

საფრანგეთში გამოქვეყნდა მაზარინ პენჟოს, რესპუბლიკის განსვენებული პრეზიდენტის ქალიშვილის პირველი წიგნი, რომელსაც ასევე ჰქვია — „პირველი რომანი“. ის, რომ ფრანსუა მიტერანს ქორწინებისგარე შვილი ჰყოლია, ფრანგებმა მხოლოდ 1994 წელს შეიტყვეს. როგორც ჩანს, ტოვებდა რა ხელისუფლებას, პრეზიდენტმა გადაწყვიტა წესრიგში მოეყვანა მთელი თავისი საქმეები. ჟურნალ „ნუველ ობსერვატერისადმი“ ინტერვიუში 23 წლის მაზარინმა თქვა, რომ მამა ყოველთვის უწონებდა მწერლობის სურვილს და თავისი პირველი წიგნი სწორედ მის ხსოვნას მიუძღვნა. რომანი არ არის ავტობიოგრაფიული, თუმცა, მისმა გმირმა, ისევე, როგორც თვით მაზარინმა, პარიზის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. გარდა ამისა, ქალიშვილი აღიარებს, რომ ვერ იტანს ჟურნალისტებს, ვინაიდან მათგან გამწარებული იყო. ასევე, დასანახად ეზარება პაპარაცები, რომელთა შიშით ქუჩაში ვერ გამოსულა, და სძულს ეგრეთ წოდებული სერიოზული ჟურნალისტებიც.

## ულტრაიისფერი სხივები — ახალი 20-დოლარიანის ლაქმუსი

მაისის შუა რიცხვებში აშშ სახელმწიფო ხაზინა მიმოქცევაში გამოუშვებს ახალ 20-დოლარიან კუპიურას, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. ხაზინის მდივანი რობერტ რუბინი და ფედერალური სარეზერვო ბანკის თავმჯდომარე ალენ გრინსპენი ბანკნოტს წარმოადგენენ 20 მაისს, ხოლო ბანკომატებში ახალი ფული შემოდგომისათვის გაჩნდება. ამერიკაში 20-დოლარიანი კუპიურები ყველაზე პოპულარულია. სწორედ მათ იყენებენ უმთავრესად ყოველდღიური საყიდლების დროს. გაყალბებისაგან დაცვის დონე 20-დოლარიანს ისეთივე ექნება, როგორც 50 და 100-დოლარიან კუპიურებს. ეს არის პრეზიდენტ ჯექსონის გადიდებული და ოდნავ გვერდზე გაწეული პორტრეტი, ჭვირნიშნები, ცვალებადი ფერის საღებავი და დამცავი ზოლი, რომელიც ულტრაიისფერ შუქზე მწვანე ფერს იძენს.



ორენბურგის (რუსეთი) კაზაკთა საზოგადოება სახელმწიფო სამსახურში გადადის. სხვა, სტრუქტურულად მისი მსგავსი, საზოგადოებები შედიან ფედერალური სასაზღვრო სამსახურის, თავდაცვის სამინისტროს, მუნიციპალური მილიციისა და სხვა უწყებების ქვედანაყოფებში.

სურათზე: ორენბურგელი კაზაკები ერთგულების ფიცს სდებენ.

## დაზვერვა პოლიტიზებული არ უნდა იყოს

პენტაგონის ახალ მოხსენებას, რომლის მთავარი დასკვნა ის არის, რომ კუბა არავითარ სამხედრო საფრთხეს არ უქადის შეერთებულ შტატებს, მხარი დაუჭირა ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ამერიკელმა სამხედრო სპეციალისტმა, ატლანტიკის ზონაში აშშ და ნატოს გაერთიანებული სარდლობის ყოფილმა მეთაურმა ჯონ შიხენმა. „კუბას არ გააჩნია შეტევითი შესაძლებლობანი, ისინი ნულის ტოლია“, — განაცხადა გენერალმა, რომელიც ახლახან ჩამოვიდა კუბიდან. „ვაშინგტონ ტაიმსისათვის“ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ დიდი ხანია უჭერს მხარს ამერიკა-კუბის ურთიერთობის გაუმჯობესებას, ამასთან, უარყო ის ვარაუდები, რომ პენტაგონის მოხსენების დასკვნები პოლიტიკური კონიუნქტურის საამებლად იყო ჩამოყალიბებული. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მოხსენება დაზვერვის ინფორმაციას ემყარება და ობიექტურ ხასიათს ატარებს. „დაზვერვა პოლიტიზებული არ უნდა იყოს, — განაცხადა ყოფილმა საზღვაო-ქვეითი ჯარის ოფიცერმა, — თუ ასეთი რამ მოხდა, ეს იქნება ყველაზე შემზარავი დღე აშშ სადაზვერვო სამსახურისათვის“.

## აკრძალათ... ნიფხავ-პერანგით სიარული

ნეპალის სამეფო პარლამენტმა მიიღო დადგენილება დეპუტატთა გარეგნული სახის შესახებ, იუწყება როიტერი. ამიერიდან, ნებადართულია სხდომებზე მისვლა მხოლოდ ტრადიციული ნეპალური ტანსაცმლით. ასეთი დადგენილების საჭიროება პარლამენტის გენერალურმა მდივანმა იმით ახსნა, რომ ხალხის რჩეულნი ძალზე დაუდევრად იცვამდნენ. ზოგი დეპუტატი სხდომებზე დადიოდა ჯინსის შარვლით, ფლოსტებით და ფეხშიშველიც კი. აქვე უნდა ითქვას, რომ დადგენილებით არ არის გათვალისწინებული არავითარი სანქციები შეუსახლო დამრღვევებისათვის.



იტალიელმა პალეონტოლოგებმა ქვაში აღმოაჩინეს პატარა დინოზავრის — სციპიონიქსის ნამარხის ანაბეჭდი, შემდეგ კი მის მიხედვით დაამზადეს „დედანი“.

## აშშ: პარასკევას მურიები და ბროლიები ურჩევნია

ამერიკის ვეტერინართა ასოციაციის მონაცემებით, ამ ქვეყნის მცხოვრებსა შარშან 7,5 მილიარდი დოლარი დაუჯდათ შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა. ამერიკელთა ოჯახებში ცხოვრობს 52 მილიონი ძაღლი და 60 მილიონი კატა. „უმრწემესი ძმების“ სამედიცინო მომსახურების ღირებულება შეადგენს დაახლოებით 200 მილიონ დოლარს წელიწადში, ოპერაციებისა და დაზღვევის ხარჯების გარდა. მოთხოვნა მიწოდებას წარმოშობს და ახლა ცხოველებს უკეთებენ რთულ „ადამიანურ“ ოპერაციებსაც, როგორიც არის მაგალითად, ორგანოების გადანერგვა ან გულის ოპერაცია. ვეტერინართა არმიას შეემატნენ ისეთი სპეციალისტები, როგორებიც არიან ცხოველთა ტოქსიკოლოგები, ანესთეზიოლოგები და ფსიქოლოგები. ამას გარდა, ამერიკელები 3 მილიარდ დოლარს ხარჯავენ თავიანთი ნებიერების საჩუქრებზე. ეს არის ძაღლის ზურგჩანთები, ფეხსაცმელები და კატებისათვის განკუთვნილი რადიოსამართავი თაგვები. ბევრ პატრონს შვილივით უყვარს თავისი ცხოველები და სიამოვნებით დარჩებოდა მათთან ერთად უკაცრიელ კუნძულზე.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

დამატება
ბავშვებისათვის №4 (17)
1998 წლის 12 აპრილი

# ილა მშვიდობისა



**გრიგოლ აბაშიძე**

## მეც მასწავლეთ



მომეწყინა,
ვეღარა ვძლებ
თოჯინების
ანაბარა,
მეც სკოლაში
წამიყვანეთ,
მეც მასწავლეთ
ანა-ბანა.

თორემ, უნდა გამოგიტყდეთ,
თქვენთან რა მაქვს დასაფიცი,
სამი წლისა გავხდი, მაგრამ
ჯერ ათამდის თვლაც არ ვიცი.

სულ თამაშით ვიქანცები,
ადრე ვდგები, გამთენია,
ორს რომ ორი მივუმატოთ,
ეს არ ვიცი, რამდენია.

თეთრსა და შავს რომ ვერა ვცნობ,
ვეღარ ვმალავ დარცხვენასა,
პატარაში დიდს ვერ ვარჩევ,
მარჯვენაში – მარცხენასა.

ამიტომ მსურს ბაღში წასვლა,
იქ ტოლები მომელიან,
მაგრამ, მოდი, დღეს ნუ წავალთ,
უკვე ძილი მომერია.

## მე და ნიკა

თამაში რომ მოგვწყინდება,
დროს არ ვაცდენთ მე და ნიკა,
გადავწყვიტეთ, შევისწავლოთ,
სათამაშო მექანიკა.

ან კი როგორ არ გავიგოთ,
როგორ ბრუნავს ხელბორბალა,
თავს რად გვიკრავს ციცუნია,
თვალს რად ხუჭავს დედოფალა.

აი, ვიწყებთ ავტოს დაშლას,
თათებს ვაძრობთ დათუნიას,
ცხენი,
ძაღლი,
დედოფალა,
ყველა გამოფატრულია!

ზოგს ზამბარა ამოვგლიჯეთ,
ზოგში მხოლოდ ნახერხია.
ჩიტი ჩივის: „ის მერჩია,
ფრთები სულ არ დამერხია!“

ცალკე მოსთქვამს დედოფალა:
„შემომძარცვეს ტანზე კაბა,
ნეტავ სულ არ დამენახეთ,
თვალი სულ არ გამენაბა!“

მეგობრებო, თქვენ განსაჯეთ,
კარგს ჩავდივართ მე და ნიკა,
როცა ვსწავლობთ ამნაირად
სათამაშოს მექანიკას?

გვიპასუხეთ, სწორი თუა
ჩვენი მკაცრი განაჩენი, –
მტერევას ჩვენ ვერ ავუდივართ,
ახლის ყიდვას – მამაჩვენი.

**შიო მღვიმელი**

## მდინარე

რა ანკარა ხარ, რა ტურფა,
ჩვენო ლამაზო მდინარე!
არ უნახავხარ ჯერ კაცსა
მოსვენებული, მძინარე.

მოდიხარ შორი მთებიდან,
ტყე-ჭალებს შუა ჩქეფითა,
გვირწყავ, გვიკაზმავ
მინდვრებსა
მრავალის ყვავილებითა.

ჩვენ წყურვილს გვიკლავ,
გვაგრილებ
სულ მუდამ ცივის წყალითა,
და გვწყინს, რომ მიხვალ
ჩვენგან შორს
გამალებულის ძალითა.



**შუშანა მგელაძე**

## მარტი წავიდა

მარტი წავიდა,
გაგვშორდა,
მზემ სძლია, ვეღარ იავა,
პეპელას ფრთები შეგვახო
ამ თმაქოჩორა ნიავმა.

მთიდან დაეშვა ჩანჩქერი,
სიპ კლდეს ტალღები ახალა,
ხის ტოტზე ციყვი
ფუსფუსებს,
მზეზე კაკლები დახალა,
ბუდიდან შურით შესცქერის
ზარმაცი ყვავის ბახალა.

აპრილის წვიმა მოვიდა,
რა საამური ხმებია,
აყვავებული ასკილი
ვარდის ბუჩქს გადახვევია.

ფუტკარმა გაიზუზუნა,
გამოიფრინა ველები,
ტვირთაკიდული დადიან
მშრომელი ჭიანჭველები.

მიწაში თესლი გალვივდა,
მზის შუქი მასაც ეამა,
კლდეზე გადმოდგა ყაყაჩო,
და გაილვიძა იამა.

მარტი წავიდა, გაგვშორდა,
მზემ სძლია, ვეღარ იავა,
პეპელას ფრთები შეგვახო,
ამ თმაქოჩორა ნიავმა.

**ჯანი როდარი** (იტალია)

ტელეფონით
მოყოლილი ზღაპრებიდან

## საკალა, პაკალა



ორი ბიჭი პატარა ეზოში მზის გულზე იჯდა და ახალ ენას იგონებდა. იმათ გარდა, დედამიწის ზურგზე ის ენა არავის არ უნდა სცოდნოდა.

– საკალა, პაკალა, – თქვა ერთმა.

– პაკალა, საკალა, ბრაფ! – უპასუხა მეორემ.

და ორივენი ლამის სიცილით გაიგუდნენ.

იქვე შორიახლო, მეორე სართულის აივანზე, ერთი კეთილი ხნიერი სინიორი იჯდა და გაზეთს კითხულობდა. მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან კი ხანშიშესული სინიორა იცქირებოდა. ჩვეულებრივი ქალი იყო, არც ავი, არც კეთილი.

– მაინც რამ გამოასულელა ეს ბავშვები, პა? – თქვა სინიორამ.

კეთილი სინიორი არ დაეთანხმა, მე ვერაფერ სისულელეს ვერ ვატყობო, გაეპასუხა.

– თქვენ, ალბათ, იმასაც იტყვით, მაგათი ქაჯურის გაგებას რა უნდა, სუყველაფერი მესმისო.

– მესმის, აბა არ მესმის! – შეესიტყვა კეთილი სინიორი. – ერთმა უთხრა, რა კარგი დღე გამოვიდაო, მეორემ კი უპასუხა, ხვალ უფრო კარგი დღე იქნებაო.

სინიორამ ცხვირი შეჭმუხნა, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია, ვინაიდან ბიჭებმა ისევ თავიანთ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი.

– მარასკი, ბარაბასკი, პიმპარამოსკი, – თქვა ერთმა.

–ბამბარამბამ ბასკი, კუმპარასკი, ბრუფ! – უპასუხა მეორემ.

და კვლავ სიცილი აუვარდათ.

– იქნებ ახლაც მითხრათ, ყველაფერი გავიგეო! – ბრაზიანად გასძახა სინიორამ.

– რასაკვირველია, გავიგე, – ღიმილით უპასუხა ხნიერმა სინიორმა. – ერთმა თქვა, რა კარგია, მზეს რომ ვუცქერითო, მეორემ კი უპასუხა, ცხოვრება მშვენიერი რამ არისო.

– ვითომ მართლა ეგრეა? – ფარ-ხმალს არა ჰყრიდა სინიორა.

– ბამბარამბამ ბასკი, ბრაფ, ბრაფ, ბრუფ, – უპასუხა ხნიერმა სინიორამ.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა.**

**ნუნუ ქადაგიძე**

## მარტოობა

წინწკალა ქონდრისკაცია, რომელიც ადამიანებსა ბაძავს.

წინწკალამ იმასაც მოჰკრა ყური, ადამიანები მარტოობას განიცდიან და იმისგან ძალიან იტანჯებიანო. ჰოდა, ამ საქმეშიაც გადაწყვიტა ესინჯა თავი. მიიღო რაც შეიძლება გაჯავრებული იერი... ამგვარი იერი აქვთ ადამიანებს, როცა რამე აწუხებთ... და ასეთი სახით აიტუზა მწვანედ მობიბინე მდელოზე, ვარდისფრად აბრდღვიალებული ასკილის ბუჩქის მახლობლად.

მისი უჩვეულო იერი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სულ მალე გულწითელა შეეხმიანა ასკილის ტოტიდან.

– რა დაგემართა, რა ცხვირპირი ჩამოგტირის, წინწკალავა.

– მარტოობისგან ვიტანჯები, – მიუგო წინწკალამ.

– განა მარტო ხარ? – გაიკვირვა გულწითელამ, – მიიხედ-მოიხედე, ვინ აღარაა შენს გვერდით. ჩირგვებიდან კურდღელი იჭყიტება. შენს ცხვირწინ ჩხართვი დაგოგმანებს მწვანე მოლზე. ასკილის ბუჩქს უთვალავი ფუტკარი ახვევია, პეპელა ლამის მაგ წინწკლებიან ქუდზე დაგასკუპდეს.



– მერე რა, მარტოსული მარტოობისგან ყველაზე მეტად მაშინ იტანჯება, როდესაც მარტო არ არის.

ამას რომ ამბობდა, ისე შეეცოდა საკუთარი თავი წინწკალას, ცრემლები გადმოუგორდა თვალებიდან.

გულწითელას ძალიან შეებრალა წინწკალა და უთანაგრძნო, რას იზამ, ძნელი საქმე გიკისრია და უნდა როგორმე გაუძლოო... მერე გაფრინდა და მთელ ტყეს მოსდო ეს ახალი ამბავი. ძალზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა წინწკალას მარტოობის ამბავმა. ტყის ბინადრებს ყური კი მოეკრათ, რომ ადამიანები მარტოობისგან იტანჯებიან, მაგრამ რა იყო ეს მარტოობა, ჯერ თვალით არავის ენახა. ამიტომ გაიგეს თუ არა ეს ახალი ამბავი, ყველამ მაშინვე გაანება თავი ყოველდღიურ, ჩვეულ საზრუნავს. დათვმა მიატოვა თაფლით სავსე სკა, მელაკუდა შუა გზაზე მობრუნდა საქათმისკენ მიმავალი ბილიკიდან, ციყვმა თავი ანება ნაძვის ტოტებზე ხტუნვას. თაგუნამ გვერდზე მიაგდო სანახევროდ გამოღრღნილი თხილი, მთელი ტყე ერთბაშად დაცარიელდა, ყველა ერთად დაიძრა წინწკალასკენ.

– გამარჯობა, წინწკალა, მართლა მარტო ხარ?

– მარტო ვარ, – თავს სევდიანად აქნევდა წინწკალა.

ტყის ბინადრები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ყოველი მხრიდან, ირგვლივ შემოუვლიდნენ ხოლმე, ეძებდნენ რაიმე სიახლეს, მაგრამ თუ არ ჩავთვლით წინწკალას ზომაზე მეტად დაღრეჯილ ცხვირპირს, ვერავითარ სხვაობას ვერ პოულობდნენ წინანდელი წინწკალასაგან:

– აბა, სად არის მარტოობა? – კითხულობდნენ გაოცებით, – რა ფერისაა?

– მარტოობას ვერ დაინახავ, ვერც ხელს ახლებ, – უპასუხებდნენ უფრო მცოდნენი.

– ალბათ, მწარე გემო აქვს არა?

– გემო სრულებითაც არ აქვს.

– იქნებ სუნი აქვს უსიამოვნო?

– არც სუნი აქვს.

– ხომ არ იკბინება?

– კბენა სრულებით არ იცის.

– რა უცნაურია?! როგორ უნდა იტანჯებოდე იმისგან, რასაც არც ფერი აქვს, არც სუნი და არც იკბინება?



– მართლაც გაუგებარია, მაგრამ ადამიანები რას არ მოახერხებენ.

– ჩვენი წინწკალაც რა ყოჩაღი ყოფილა, როგორ მოახერხა...

ზოგიერთები ახლოსაც არ ეკარებოდნენ წინწკალას, აქაოდა მარტოობა არ გადაგვედოსო. ასე იქცეოდა, მაგალითად, კურდღელი. არც თავისი ბაჭიები მიუშვა ახლოს, შორიდან უთვალთვალებდნენ წინწკალას, როგორც რაღაც საოცრებას. მაგრამ ასეთები შედარებით ცოტანი იყვნენ. უმეტესობა ახლოს მიდიოდა წინწკალასთან. ხელს თანაგრძნობით ართმევდა და უნდა გაუძლოო, არიგებდა.

– ვუძლებ, მეტი რა გზაა, – ოხრავდა წინწკალა.

სულ ბოლოს მწვანე კალიამ მოაკითხა, ძლივს გაიკვლია გზა უამრავ მნახველებში და აუწყა: ჩვენი გუნდი ამჟამად ძალზე შორს, უდაბნოსკენ მიფრინავს. შენი მარტოობის ამბავი გავიგეთ და მე სასწრაფოდ გამომგზავნეს შენთან. ჩვენ, კალიებმა, ძალიან კარგად ვიცით, რას ნიშნავს მარტოობა... განა ერთი და ორი მარტოსული გვინახავს უდაბნოში... მთელი ჩვენი გუნდი მოკითხვას გითვლის და სოლიდარობას გიცხადებსო!

– გმადლობთ, – უთხრა გულაჩუყებულმა წინწკალამ და ღვარივით წასკდა ცრემლები, რომელიც იქვე მოფარფატე პეპელამ მზრუნველად შეუმშრალა.

მხოლოდ გვიან ღამით დაიშალა მთელი ეს თავყრილობა. დაქანცულმა წინწკალამ მაშინვე დაიძინა. დღევანდელი დღით ფრიად კმაყოფილი იყო. მარტოობა ძალზე მხიარული რამ ყოფილაო, ფიქრობდა. ალბათ, ამიტომაც ვეღარ ელევიან ადამიანები...

## ალექსანდრე დიდებაშვილი

### აპრილი

ხატავს აპრილი გულდაჯერებით,
მზეს ფუნჯი სთხოვა, მიწას —
ფერები.
თეთრად შეფეთქა ბალი, ტყემალი,
ლეღვის ატამი, ვით ნალევრდალი.
გაზაფხულია!..

### ტყუილების გუდა



გიგამ მიამბო:
— უნაგირს,
როცა ვადგამდი
დათვსაო,
დამიფრთხა, ხარბი, მსუნაგი,
გამოეკიდა ჩხართვსაო...
იმ ღამეს მზე აცხუნებდა
დაბლა დაღენილ მთასაო...
ჟირაფი ხერეპდა ხორთუმით
ფერდობზე დამდგარ ტბასაო...
ვითომ ფარფატა ღრუბელსა
ცრემლი ადინა უმრეტი...
ვითომ გაქცეულ კურდღელსა
ვერა გაუსწრებს კუს მეტი...
ხომ არ მჯეროდა და მაინც
სიამოვნებით ვუსმენდი.

## მარიამ წიკლაური-ძიძიგური

### აცა-ბაცა

აცა-ბაცა,
ფეხზე ჩაცმა
ვერ ისწავლა ჩვენმა კაცმა.
ორი წელი შეუსრულდა,
მაინც დადის აცა-ბაცა:

### მამალი



ყივის და ყივის
მამალი,
ყველას დაუფრთხო
ძილი.
ნეტავ ვიცოდე ამ მამალს
ვინღა აღვიძებს დილით?

### ცისია



— ვისია ცისია?
— დედასი და მამასი.
დამჯერი, ჭკვიანი,
მშვიდი და ლამაზი.

### დიდი ბიჭი

გავიზარდე დიდი ბიჭი,
ამომეჭრა ორი კიჭი.
აღარ ვამბობ „ფუასო“
ვღოღნი პურის ყუასო.

### ნატვრა

დედისერთა რომა ვარ,
იცით, როგორ ძნელია?
ვზივარ, მარტო, კუთხეში,
სევდა შემომერია.

გევედრები, უფალო,
ამიხდინე ნატვრაო,
თოვლის პაპამ მომიყვანოს
პაწაწინა და-ძმაო...

### ენძელა



გაზაფხულის
მახარობლად
ამოსულა ენძელაო.
თავი რაღად
ჩაუქინდრავს?
— მარტოობა ეძნელაო!

## ი. აკიმუშკინი

## „ესენიც კატები არიან“



### ფოცხვერი

ამ ქვეყნად ფოცხვერის ხუთნაირი სახეობა არსებობს. ყველა კუდმოკლეა, თითქოს მოუკვეციათო, ყურებზე ფუნჯები აქვთ, ყვრიმალებზე „ბაკენბარდები“.

ტყის ფოცხვერი მარტო ციმბირში კი არა, მოსკოვის ახლო-მახლოც ბინადრობს. ისინი გავრცელებული არიან ჩრდილოეთ ამერიკის ტყეებშიც. ხოლო სამხრეთით, ამერიკის ულრან ტყეებშივე შემორჩენილია მეორენაირი — წითური ფოცხვერი, შედარებით გრძელკუდა, მაგრამ ყურებზე უფრო მომცრო ფუნჯიანები.

ფოცხვერს უმეტესად კურდღელზე, როჭოზე, გნოლ-კაკაბზე უყვარს ნადირობა. ზოგჯერ ცხენ-ირემსაც ესხმის თავს.

აფრიკაში ფოცხვერის სხვაგვარი სახეობა — სერვალი ბინადრობს, აზიაში კი მანული, რომელიც უფრო მოზრდილ კატას ჩამოგავს.

აფრიკასა და აზიაში მისი კიდევ ერთი სახეობა არსებობს — კარაკალი — ეს უდაბნოს ფოცხვერი გახლავთ. მას მოოქროსფრო ბეწვი აქვს, ულაქებოდ, ქვიშის ელფერით. იგი ისეთი სწრაფია, რომ გაფრენილ ფრინველსაც კი მარჯვედ იჭერს: მიეპარება ხოლმე მათ გუნდს და ნახტომით ზემოდან დააცხრება! — დამფრთხალი ფრინველები მყისვე აიშლებიან, ნადირი კი ჰაერში იტაცებს მათ და კლანჭებით თანგავს.

სპარსელებს სწორედ კარაკალი ჰყავდათ დაგეშილი; შეჯიბრებებს მართავდნენ ხოლმე და კარგად გაწვრთნილი ფოცხვერი ამ დროს ერთი ნახტომით ზოგჯერ რამდენიმე მტრედს იჭერდა.

ფოცხვერი ადვილი მოსათვინიერებელია. მონადირეები მათ უმეტესად კურდღელზე, მტრედსა და ხოხობზე ვეშავენ.

თარგმნა
**ნანა ლვინეფაძემ.**

## გიორგი პაპუაშვილი

## კუ-ტალა



პაპამ თავისი შვილიშვილები სატაცურზე წაიყვანა, სოფლის ბოლოზე რომ ჯაგნარიანი გორაა. თან დანა წაიღო და ჯოხები გაუთალა: გველი თუ შეგხვდათ, შეაშინეთო.

— პაპა, კუ!, — დაიძახა ბაქარმა.

— კუ არას გერჩის, შვილო, მიდი, შეაჯექი და უთხარი, კუო, ქალაქს წამიყვანე, ფარჩა მომატანინე-თქო.

— მერე?

— მერე ისა, რომ წაგიყვანს და მოგატანინებს.

— მატყუებ.

— არ გატყუებ, მართლა მოგატანინებს, — გაუცინა პაპამ და სატაცურის კრეფა განაგრძო: ჯაგებიდან რომ თავები ამოეყოთ და ყელყელაობდნენ.

ბევრი დაკრიფეს სატაცური, ბებიამ გემრიელად შეანელა და ბიჭებმა კინაღამ თითები ჩაიკვნიტეს.

მთავარი მაინც ეგ არ არის. მთავარი ის არის, რომ იმ ღამეს ბაქარს დაესიზმრა, რომ ისევ სატაცურზე იყვნენ.

— პაპა, კუ! — დაიძახა ბაქარმა.

— კუ არას გერჩის, შვილო, მიდი, შეაჯექი და უთხარი, კუო, ქალაქს წამიყვანე, ფარჩა მომატანინე-თქო.

— მერე?

— წაგიყვანს და მოგატანინებს.

ბაქარი უშველებელ კუს დააჯდა და უთხრა: „კუო, ქალაქს წამიყვანე, ფარჩა მომატანინეო“, და კუც მაშინვე დაიძრა.

— მივყავარ, პაპა!

— აბა, რა გეგონა?!

— მეც მინდა ქალაქში წასვლა!. — დაიძახა პაატამ.

— მეც მინდა!, — აჟრიამულდნენ სხვა ბიჭები.

— თქვენც თუ გინდათ, მაშინ ურემი უნდა გავთალოთ და კუს გამოვუბათ. პაპამ ურემი გააკეთა და კუს გამოუბა, მაგრამ ყველანი ვერ ჩაეტივნენ, მარტო ბაქარი და პაატა მოთავსდნენ. მაშინ მეორე ურემიც გააკეთა. იმ მეორეში არჩილი და ვახტანგი ჩასხდნენ, მაგრამ წასვლა მაინც ვერ გაბედეს: ქალაქამდე შორი გზაა და უპაპაოდ მოვიწყენთო. მაშინ პაპამ მესამე, უფრო მოზრდილი ურემი გააკეთა და თვითონაც თავისი ურმიანად კუს გამოება. ასე გაკეთდა კუმატარებელი, რომელიც ძალიან მალე თბილისში ჩავიდა.

თბილისში ბავშვები, პირველ რიგში, პერანგების, ჩოხა-ახალუხების, სურსათ-სანოვაგისა და სამონადირეო მაღაზიებში შევიდნენ. ყველამ თითო ხელი განსაცმელი იყიდა, კარგად შეიარაღდნენ და სამწვადე და ძეხვეულიც არ დავიწყებიათ, არც ნამცხვარი, რძე და ლიმონათი. ერთი სიტყვით, რაც სულსა და გულს გაუხარდებოდა, ყველაფერი ურმებზე დაახარგეს, უნდა წამოსულიყვნენ და, ერთბაშად არჩილს გაახსენდა თავიანთი დანარჩენი ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილები: ზვიადი, ვალიკო, ალექსანდრე და თორნიკე რომ მოწყენილები იმყოფებოდნენ მიყრუებულ ღრმაღელეში. წავიდეთ და ისინიც წამოვიყვანოთო. პაპასაც ეგ უნდოდა: წავიდეთ და წამოვიყვანოთო.

სამი ბიჭი სამ ურემზე გაინაწილეს და თორნიკე კი კალთაში ჩაისვა პაპამ.

კუმატარებელი ნელა და დარბაისლურად დაიძრა კახეთისკენ.

ლოჭინს რომ გასცდნენ, იქ დაუღამდათ. კუ გამოუშვეს, წყალი დაალევინეს და საძოვარზე მიუშვეს. თვითონ ცეცხლი დაანთეს, მწვადი აამიშხინეს და ლუკმა გატეხეს. კარგად რომ დანაყრდნენ, ზღაპრების მოყოლა დაიწყეს.

— პაპავ, ის რა არის?!, — შენიშნა ბაქარმა ანთებული ნაკვერჩხლები.

პაპამ შუბლზე ხელი მოიჩრდილა და ბაქარის გაშვერილი თითისკენ გაიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. მერე წამოდგა, ცეცხლს მოშორდა და ისე გაიხედა. დაინახა, რომ ათი-თორმეტი ნაკვერჩხალი ანათებდა. პაპამ იაზრა, რომ მგლები იყვნენ. ისინი ღამით ხომ ისევე ხედავენ, როგორც დღისით.

— რა გვეშველება, პაპავ?, — შეფიქრიანდნენ ბიჭები.

— ჩანს, ნადირი აქ ბევრია, შვილო, და ამაღამ ტალა დაგვჭირდება, — დაბრუნდა პაპა თავის ადგილზე.

— ტალა რა არის, პაპავ?

— ტალა გუშაგია, ყარაული, დარაჯი, მზირი, მოთვალთვალე, რომელიც ფხიზლობს და თავისიანებს დარაჯობს, რათა მტერმა არაფერი ავნოთ.

— კარგია. მე დავდგები ტალად! — წამოიძახა ბაქარმა და სხვა ბიჭებიც შეეცილნენ: არა, მე დავდგები და არა, მეო.

— ყველას მოგიწევთ, შვილო, ტალად ჯერ-ჯერით დგებიან თითო ან ორი საათით, უწინ, მოგზაურობისას უეჭველად ტალას დააყენებდნენ ხოლმე. ახლაც იციან ჯარში. სადაც საშიშროებაა, იქ ტალა საჭიროა. სხვათა შორის, ნადირთა ჯოგსა და ფრინველთა გუნდსაც სჩვევია ტალად დაყენება.

— ეგ როგორ?, — გაიკვირვა არჩილმა და მასზე უფროს ზვიადს გადახედა: ეგებ შენ იცოდეო. ზვიადმა მხრები აიჩეჩა.

— ჯიხვები, როცა საძოვრად გადიან, ერთ-ერთს შემაღლებულ ადგილზე დააყენებენ და ის უთვალთვალებს ხოლმე, მტერი არსაიდან მოგვეპაროსო. მერე მის ადგილს სხვა ჯიხვი იკავებს და ის გადის საძოვარზე. თუ რაიმე გამოჩნდა, დაიფრუტუნებს და გაიფანტებიან. ფრინველებსაც ასე სჩვევიათ. თქვენც ამაღამ ჯერ-ჯერით დაგაყენებთ ტალად და შიში არ გვექნება. თოფები ხომ გაქვთ და ხომ ხართ გულადები.

ტალად პირველი ბაქარი დადგა და მგელი მოკლა.

პაატა დადგა და აფთარი მოკლა.

ვალიკო დადგა და ტურა მოკლა.

ალექსანდრე დადგა და ფოცხვერი მოკლა.

თორნიკე დადგა და ტახი მოკლა.

არჩილი დადგა და დათვი მოკლა.

ზვიადი დადგა და არაფერი გამოჩნდა. ან რომელი გადარეული მხეცი უნდა გამოჩენილიყო მისი შიშით!

დილად გაკვირდა პაპა, როცა გათენდა და ამდენი დახოცილი ნადირ-ცხოველი დაინახა. გაბრაზდა კიდეც: ხომ იცით, რომ ნადირ-მხეცნი ბუნებას ამშვენებენ და რატომ დახოცეთო.

ბიჭებმა მხრები აიჩეჩეს და ვერაფერი უპასუხეს.

რა უნდა ექნა პაპას? პირველ რიგში, დათვი და ტახი გაატყავა, გამოშიგნა და აქნა კიდეც: შინ წავიღოთ და მწვადი შევწვათო. მეტი რა გზა გვაქვს, ხომ არ გადავყრითო. მერე სხვა ნადირ-ტყიურნიც გაატყავა და ის ტყავებიც ურმებზე დაუდო: მონადირეთა მაღაზიას ჩავაბარებთო. მერე კარგად ისაუზმეს, შეაბეს კუ და ისევ გზას გაუდგნენ.

სოფელში მივიდნენ და, ჰოი, საკვირველებავ, ყველანი იქ დახვდნენ ბიჭებს: გვანცაც და თამთაც, ანაც და თეონაც, ნათიაც და ქეთინოც, დედებიცა და დეიდებიც, პაპებიცა და პაპიდებიც, ბებიებიცა და ბებიდებიც, ერთი სიტყვით, ყველანი იქ დახვდნენ, ვინც კი ბიჭებს უყვართ. გაუგიათ, ჩვენს ვაჟკაცებს ღამით ნადირები დახვედრიანო და ავტომანქანებით წამოსულან თბილისიდან. ისინი სამანქანო გზით წამოსულან, ჩვენი გმირები კი კუს გზით მოდიოდნენ და ერთმანეთს ვერ შეხვედრიან. ამიტომაც გამოუსწრიათ და შინ დაუხვდნენ. ჰოი, რა სიხარული და ხვევნა-კოცნა იყო.

ამასობაში ბაქარს გაეღვიძა და... თან ეწყინა და თან გაუხარდა. ეწყინა იმიტომ, რომ სიზმარი იყო და პაატას გარდა, იმ ოთახში არავინ დახვდა. გაუხარდა იმიტომ, რომ ნადირები მართლა არ დაეხოცათ. პაპა ხომ იტყვის ხოლმე, ნადირფრინველი ბუნების მშვენებაა და მათი მოკვლა ბოროტებააო.

## ქეთევან ჭილაშვილი

## დაბადება



თენდებოდა, ცელქმა ნიავმა ცაზე ლურჯი ღრუბლები წამოყარა. დაიკლაკნა ელვა, იქუხა და ჟუჟუნა წვიმამ დიდი მინდორი დანამა.

ყვავილებს ეამათ გრილი წვეთები, ნებივრობით გადმოშალეს ფერადოვანი კოკრები და ნიავმა უმალ არემარეს მოჰფინა საამო სურნელი...

უცებ, ბუნება გაიკანკა, ჩაყუჩდა ნიავიც სასწაულის მოლოდინში. მართლაც... მარიამ საკმელას ცისფერი ყვავილიდან თითის სიგრძე ბიჭუნამ ისკუპა — ჰეჰეჰეო, შესძახა, და გათენდა კიდეც!



— დაურჩი დედაშენსაო, დაურჩი ქვეყანასაო!, — დალოცა დედაბუნებამ. არემარეზე გადმოფენილმა მზემ პაწიას სახელობაზე სხივით იბრტყა და ნათელი სითბოთი შემოსა.

მთვარემაც, ვიდრე სულ გაფერმკრთალდებოდა, წევრი წაიტეხა და ცაზე ბედნიერ ვარსკვლავად აუკიაფა.

სახელიო? სახელი, სახელი... სიხარულით ცქმუტავდა ნიავი.

— „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“, — დაიწკრიალა სილაქვარდეში ტოროლამ, ნათლიას მთებმაც ბანი მისცეს, ჩანჩქერები კიდევ უფრო აშხუილდნენ, ალერსით ლივლივებდა ზღვისა და ხმელეთის ზურმუხტი... იდგა იმა წლის ქველთობის თვე...

— ჩუ, კვლავ გაიკანკა ბუნება... კიდევ ერთი მზეჭაბუკი, კიდევ ერთი ცისია, კიდევ, კიდევ... სჩქეფს დედის რძის ცისფერი ნაკადული...

მარად და მრავალჟამიერ...



უძღვება
**შოთა ხოდაშნელი,**

მხატვარი
**სიმონ ჭიორელი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№87, კვირა, 12 აპრილი, 1998 წელი.

## არცთუ მოულოდნელი რაკურსი

ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოს მოსწავლეები სასამართლოს წინაშე წარსდგებიან მკვლელობისა და ვამპირიზმის ბრალდებით, იუწყება ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“. ჯგუფის ლიდერს 17 წლის როდ ფელერს, ორგიების ერთ-ერთი მონაწილის თქმით, „გვამში ემმა შეუჯდა“. წყვდიადის მბრძანებელი ვითომდა შეჰპირდა ფერელს, რომ მიანიჭებდა უდიდეს ძალას, თუკი იგი ადამიანებს დახოცავდა და ჯოჯოხეთურ ლაშქარს შეავსებდა მსხვერპლთა სულებით. ორგიები, როგორც წესი, ღამით მიმდინარეობდა ადგილობრივ სასაფლაოზე. როდესაც რმონთა სექტის წარმომადგენლები, წერს, ასევე, „დეილი ტელეგრაფი“. მორმონები ხელკეტების, დანების, ცეცხლგამჩენი ბოთლებისა და თვითნაკეთი ყუმბარების გამოყენებით ცდილობენ მოაქციონ ქალაქის მცხოვრებნი თავიანთ რჯულზე. ალკოჰოლის, თამბაქოს მოწინააღმდეგე მორმონები, რომელთაგან ბევრი თავგამოდებული ვეგეტარიანიც არის, არბევენ ბარებსა და საყასბოებს. ისინი თავს ასალებენ ჯარისკაცებად, რომლებიც ამქვეყნიურ მანკიერებებს ებრძვიან, მოქალაქეთა დაშინების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხი გახდა ევრეთ წოდებული

# განგსტერული პოეზიისათვის?!

ქმაწვილებს შინაური ცხოველების რიტუალური ხოცვა მობეზრდათ, გადაწყვიტეს, ჩაედინათ უფრო სერიოზული დანაშაული. მათ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სისხლი გამოსწოვეს თანამზრახველი გოგონას მშობლებს და მათ გვერდზე ამოუშანთეს სატანური სიმბოლო. სამ სექტანტს, ლიდერის ჩათვლით, ელექტროსკამი ემუქრება, დანარჩენებს კი სასამართლო, ასევე, საკადრისს მიუზღავს, — წერს გაზეთი.

კონგოში ექვსი კაცი წარსდგა სასამართლოს წინაშე ჯადოქრობის ბრალდებით, იუწყება ისევ „დეილი ტელეგრაფი“, რომელიც იმოწმებს ადგილობრივ რადიოს „ხმა ერისა“. განსასჯელნი თურმე, შავი მაგიის მეშვეობით გადაიქცეოდნენ ნიანგებად და თავს ესხმოდნენ ადამიანებს. ამ „ჯადოქრული“ ხრიკების შედეგად კონგოს დედაქალაქ კინშასას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ოლქში მოიკლა და შეიჭამა 33 კაცი.

ამერიკის ქალაქ სალტ ლეიკ-სიტის მცხოვრებთ პირდაპირ ატერორებენ მო-

„ქვის ბუტერბროდი“ — მსხვერპლს პირისახეს ქვაფენილზე ადებინებენ და კეფაში ჩექმას ურტყამენ. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლებმა, რომლებსაც ბოლო დროს ხშირად მოსდით შეტაკებები სექტანტებთან, განაცხადეს, რომ ასეთი ეგზეკუციის შემდეგ ბევრი მოქალაქე ისეა დაშინებული, რომ აღარ შედის ბარში. ბევრს კი საერთოდ გაუქრა ხორცის ჭამისა და თამბაქოს წევის ხალისი.

ჯერჯერობით მსგავსი ტერორი არ მოუწყვიათ ქართველ „დემონებს“, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინიც, თავს წესრიგის დამამყარებელ ჯარისკაცებად ასალებენ. ოღონდ წესრიგის დამყარებას პოეზიაში აპირებენ. გვპირდებიან, რომ დაამკვიდრებენ ქართულ განგსტერულ პოეზიას. ამჯერად, ისინი თავს ლექს-ჯგუფ „დემონელებს“ უწოდებენ, მომავალში კი ძლიერი დემონური ორგანიზაციის ჩამოყალიბება ჰქონიათ განზრახული.

„დემონები“ ქრისტეს ძალიან კარგ კაცად მიიჩნევენ, ღმერთად კი თავიანთ ლიდერს, ვინმე ლომაძეს აღიარებენ.

ისინი (რამდენიმე ახალგაზრდა) თურმე ჩვენი სათაყვანებელი უნივერსიტეტის სტუდენტები ყოფილან. როცა თავიანთი პირველ პოეზიის საღამოზე შავით მოსილნი „სატანურად ჩაცმული“ გამოცხადებულან, საღამოზე მოწვეული დაფეთებული სტუდენტები დეკანატში გაქცეულან, რაზეც „დემონებს“ ირონიულად შეუნიშნავთ: მაგათ რა იციან, ჰეგელი და კანტი არ წაუკითხავთო.

მოულოდნელი ამბავია? არცთუ, — მაინცდამაინც. თუკი თვალს გადავავლებთ ჩვენს ირგვლივ სოკოებივით მომრავლებულ სექტებს, სადაც უამრავი ქართველია ჩათრეული, აბა, რა უნდა გაგვიკვირდეს!

იქნებ ყველაფერი ეს იმის გამო გვჭირს, რომ რთულ ეპოქაში ვცხოვრობთ და დავკარგეთ იდეა, იდეალი, იდეოლოგია?

ფილოსოფოსები გვასწავლიან, ადამიანის რაობის ჩამოყალიბებისათვის მთავარია: იდეალის რაობა, ცხოვრების უმაღლესი მიზანი, ამის მიხედვით ყალიბდება იდეები და იდეოლოგიაო. ჩვენ კი კომუნისტური იდეოლოგიის გადაგდებით საერთოდ უარვყავით იდეოლოგია. უიდეოდ და უიდეალოდ დარჩენილებს ათასი ჯურის გადამთიელთა სექტები შემოგვესია და ლამის არის გადაგვაგვარონ.

დღეს ბევრი კამათია ამაზე. ხმა აღიმაღლა ეკლესიამაც. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვაკურთხევით საპატრიარქოში აღსდგა ტრადიციული ხუთშაბათობები, რომელსაც წინა პატრიარქების დროს ჩაეყარა საფუძველი. ხუთშაბათობით ერისათვის საჭირბოროტო საკითხებზე პატრიარქთან ერთად მსჯელობენ ჩვენი მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, საზოგადოების წარმომადგენლები. ერთად ეძებენ გზას ხსნისა.

რაც მთავარია, იმედი გაჩნდა, ვინც ეძებს, პოულობს კიდეცო, ნათქვამია... დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**მზია გელენავა.**

## გამოიცა

# „მწიგნობარი-1997“




საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ალმანახი „მწიგნობარი“ 1980 წლიდან გამოდის და თავის მიზნად ისახავს მკითხველს მოუთხროს წიგნებსა და წიგნის შემქმნელებზე, ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე, ძიებებზე წიგნის სამყაროში, ძველ წიგნებზე, სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის წიგნის მოყვარულებზე.

ჩვენს ხელთ არის ალმანახ „მწიგნობრის“ ახალი ნომერი, რომელიც ყველაზე გემოვნებიანი მკითხველის მოთხოვნებს პასუხობს როგორც თავისი შინაარსით, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით. კარგად ჩანს მთავარი რედაქტორის ლევან მენაბდის, სარედაქციო საბჭოსა და მხატვარ ანზორ თოდრიას დიდი გარჯა და მაღალი პროფესიონალიზმი, რათა მკითხველისათვის საინტერესო და მრავალფეროვანი კრებული შეეთავაზებინათ.

ალმანახის გარეკანზე გამოსახულია წერეთლების კუთვნილი 1687 წელს გადაწერილი სახარების (დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში) ყდა. „მწიგნობარი-97“ იხსნება ილია ჭავჭავაძის 1888 წელს დაწერილი სტატიით „კრიტიკული აზრის უქონლობა“.

რუბრიკაში „წიგნი და ცხოვრება“ დაბეჭდილია ალექსანდრე გვახარიას „ქართული ფირდოუსიანის ახალი შენაძენი“ (ეძღვნება მაგალი თოდუას ბოლო წლებში გამოცემულ ორ წიგნს), ლევან მენაბდის „ვახუშტი ბაგრატიონი-300“, ვალერი სილოგავას „ივანე ჯავახიშვილი და ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის პრინციპები“.

მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა გამოკვლევებს: ლალი ავალიანის „გრიგოლ რობაქიძის სალექციო მოღვაწეობის დასაწყისი“ (მასში უცვლელად არის მოტანილი 88 წლის წინათ გამოქვეყნებული წერილები რობაქიძეზე, რომლებიც სრულიად უცნობია თვით ლიტერატურის ისტორიკოსებისთვისაც კი). თამარ მიქაძის „იოსებ ბაქრაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“, გიორგი შაყულაშვილის „იეთიმ გურჯის ბიოგრაფიული ეტიუდები“, რევაზ ხვედელიძის „ლესია უკრაინკა“, ჯუმბერ ჭუმბურიძის, ლადო მინაშვილის, იუზა ევგენიძის „მეცნიერი, პედაგოგი, მოღვაწე“ (იგი ეძღვნება ცნობილი მოღვაწისა და თვალსაჩინო მკვლევარის სოლომონ ხუციშვილის ნაყოფიერ სამეცნიერო, საზოგადოებრივ და პედაგოგიურ საქმიანობას).

ალმანახში წაიკითხავთ ირინე ნაცვლიშვილის სტატიას „ბიბლია — ქამთაალმწერლის ისტორიოგრაფიული აზროვნების საფუძველი“, ზურაბ ჭუმბურიძის „იოანე ბერა“, მაია კარანაძის წერილს „წერეთლებისა და დადიანების კუთვნილი რამდენიმე წიგნის ოქროთი მოვარაყებული ყდები“, გივი მიქაძის „ფსევდონიმები და სახეები“.

რუბრიკას „წარსულის ფურცლები“ წინ უძღვის ვაჟა-ფშაველას სიტყვები „ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენიც აწმყოსათვის“. აქ იბეჭდება დარეჯან მენაბდის „ქართული სამოგზაურო-მემუარული მწერლობის ისტორიიდან“, ანდრო ლომაძის „საქართველოს უცხოელი მეგობრები აკაკის მშობლიურ კუთხეში“ (არტურ ლაისტი, მარჯორი უორდროპი, ბარონ დე ბაი).

ცნობილ ბიბლიოფილს, პროფესორ კონსტანტინე გერასიმოვს ეძღვნება ვლადიმერ სარიშვილისა და ოლეგ გოლიაძის წერილი „მიძინებულთა ქალაქის გუბერნატორი“.

განყოფილებაში „მსოფლიოს მერიდიანებზე“, წაიკითხავთ დეივიდ დიკენსის ნარკვევს „ჩარლზ დიკენსი და დიკენსების ოჯახი“ (რომელიც 1993 წელს საგანგებოდ ქართველი მკითხველისათვის დაწერა დიდი მწერლის შვილთაშვილმა, ქალბატონ მარიკა ოძელის თხოვნით, მასვე ეკუთვნის ამ ნარკვევის თარგმანი), მ. ბოტვინიკისა და მ. რაბინოვიჩის „ოვიდიუსი“.

წიგნის სფეროში სიახლეებს ეხება ოთარ ჭურღულიას „მონოგრაფიები ტერენტი გრანელისა და გალაკტიონის შესახებ“, ნინო მელიქიშვილის „გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედების შემსწავლელი ჯგუფის კრებული“, ინგა მილორავას „გამომცემლობა „ლომისი“: ესების ორი კრებული („რჩეულთა ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული ჟანპოლ სარტრის „სარკის მეორე მხარე“ და მიგელ დე უნამუნოს „სულის სიღრმეში“), აბესალომ გადილიას „საყურადღებო ნაშრომი“ (ეძღვნება პროფესორ ოთარ ჭურღულიას წიგნს „სიტყვა ფიქრის სხეულია“), ლალი ძოწენიძის „ნინო მახათაძის ღვაწლი“ (მისი ახალი კრებული XVIII-XIX საუკუნეების ქართული მწერლობისა და მწერლების შესახებ გვაწვდის ცნობებს), კახა დავითურის „ლექსის ანალიზის პრობლემისათვის“. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ეგიდით დაისტამბა წიგნი სათაურით „ლექსი, მხოლოდ ერთი ლექსი“, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები ამა თუ იმ ქართული ლექსის შესახებ.

„მწიგნობარი-97“ მდიდარი და მრავალფეროვანი ალმანახია, რომელიც უდავოდ დაიმსახურებს როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველის ყურადღებას. მისი შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზია „მერანში“.

**გიორგი ლალიაშვილი.**

## ჟურნალი

# „ლიტერატურნაია გრუზია“ № 7-12

ახლახან გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ლიტერატურნაია გრუზიას“ 1997 წლის № 7-12 (რედაქტორი პროფესორი ზაზა აბზიანიძე, მხატვარი ოლესია თავაძე).

ეს ნომერი საიუბილეოა, — ჟურნალს 40 წელი შეუსრულდა, — იგი 1957 წლიდან გამოდის და ამ თარიღს ფრიად საინტერესო სარედაქციო მიმოხილვა ეძღვნება. ამავე თარიღთან დაკავშირებით იბეჭდება სარედაქციო კოლეგიის წევრის, კრიტიკოს გურამ გვერდწითელის მოგონება „ჩვენი პირველი რედაქტორი“, რომელშიც ავტორი გულთბილად ლაპარაკობს გამოჩენილ ქართველ მწერალზე კონსტანტინე ლორთქიფანიძეზე. ის იყო პირველი, ახლანდელი რედაქტორი კი მეშვიდეა!




„ჩემთვის სრულიად ცხადია — მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა წარმოუდგენელია კონსტანტინე ლორთქიფანიძის სახელისა და შემოქმედების გარეშე“, — წერს გ. გვერდწითელი დასაწყისში და ამთავრებს იმით, რომ ეს ჟურნალი მწერლის ცხოვრების უძვირფასესი და უბედნიერესი ფურცლებია!..

რუბრიკით „ჩვენი მთავარი რედაქტორი“ დაბეჭდილია, აგრეთვე, წერილები გიორგი ციციშვილისა — მიხეილ მრევლიშვილზე, თამაზ ნატროშვილისა — გურამ ასათიანზე, რომან მიმინოშვილისა — თენგიზ ბუაჩიძეზე.

...„მე ფრიად დიდად დავალებული ვარ ამ ჟურნალისგან“ ეს არის ირინე ზურაბაშვილის ინტერვიუ ბატონ რომან მიმინოშვილთან — სამწუხაროდ, გამოსათხოვარიც...

ილია ჭავჭავაძის დაბადების 160 წლისთავისადმია მიძღვნილი ზაზა აბზიანიძის „უკვდავი სახელი“ და ლინა ხიხაძის — „ხატი-სიმბოლო“ (ოთარაანთ ქვრივის შესახებ).

სიმბოლურია ისიც, რომ ჟურნალი იხსნება ილიასეული „ლოცვით“ (თარგმანი ვ. მეფნერისა).

პოეზიის განყოფილებაში ვეცნობით ლია სტურუას (მთარგმნელი ინა კულიშოვა), ბესიკ ხარანაულის (გინა ჭელიძის თარგმანი), გივი ალხაზიშვილის (მთარგმნელი გივი ორაგველიძე) და ვლადიმერ სარიშვილის მიერ თარგმნილ ზაურ ბოლქვაძის ლექსებს. იქვეა ზაურ ბოლქვაძის უდროოდ გარდაცვალების გამო გულისტკივილით დაწერილი გამოსათხოვარი გიორგი ჩარკვიანისა — „და დარჩა ლექსები“...

პროზაში სამი ავტორია წარმოდგენილი: გრიგოლ რობაქიძე, რომლის მოთხრობებიც „წმინდა ხარის მოკვლა“ და „იმამი შამილი“ გერმანულიდან უთარგმნია სერგო ოქროპირიძეს. თამაზ ხმალაძის მოთხრობები, თარგმნილი მაია მერაბიშვილის მიერ და ირინე ბაქანიძე (ახალი სახელი) მოთხრობით „კულფში“ (თარგმანი ირინე ზურაბაშვილისა).

ლიტერატურული მემკვიდრეობა წარმოდგენილია ორი პოეტით: კოლაუ ნადირაძისა და თეიმურაზ I-ის პოეზიით. პირველის შემოქმედებას ეხება გიორგი ჩარკვიანის წერილი „უკანასკნელი ცისფერყანწელი“, ხოლო გვირგვინოსანი პოეტის შესახებ მოგვითხრობს ალექსანდრე გვახარია.

მკითხველი ეცნობა, აგრეთვე, იური რიაშენცევისა და ინა კულიშოვას ახალ ლექსებს.

დოკუმენტური პროზის რუბრიკით იბეჭდება ნანა ლეინეფაძის ნარკვევი „შარავანდედი“ — მარო მაყაშვილის შესახებ შექმნილი მისი ამავე სახელწოდების წიგნიდან (თარგმანი მაია მერაბიშვილისა) და საქართველოში 1921 წლის ანექსიის დროს დაღუპული ამ უმანკო მსხვერპლისადმი მიძღვნილი კოტე მაყაშვილის, რაჟდენ გვეტაძისა და თამარ ერისთავის ლექსები, თარგმნილი გივი ორაგველიძისა და ვლადიმერ სარიშვილის მიერ.

„ლიტერატურნაია გრუზიას“ ანკეტას: „როგორ ვწერთ ჩვენ“, — ამჯერად უპასუხებს მწერალი თამაზ ჭილაძე.

იმპროვიზაციები „ალუბლის ბაღის“ თემაზე — მიხეილ თუმანიშვილის ეს ნააზრევი იბეჭდება გიორგი მარგველაშვილის შესავალი სიტყვითურთ.

საინტერესო ფაქტებს გვაწვდის თეიმურაზ მიბჩუანი სტატიაში „მუხაჯირობა და ქართველი ინტელიგენცია“.

„საქართველოში არ არის ეთნიკური კონფლიქტები“ — ასეთია ა. გერასიმოვისა და ი. ზურაბაშვილის საუბრის თემა.

პოეტი მიხეილ ქელივიძე კი თავის ცხოვრების ერთ ეპიზოდზე გვიამბობს მოგონებაში „სიტყვებს ღმერთი გვკარნახობს“...

რუბრიკით: ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, დაბეჭდილია ოთარ ჯანელიძის სტატია გაზეთზე „ქართული აზრი“.

სამგლოვიარო წერილებია დაბეჭდილი გურამ ფანჯიკიძის, ბულათ ოკუჯავას, გივი ორაგველიძის შესახებ.

და ბოლოს, მცირე ცნობარი ავტორთა შესახებ.

„ლიტერატურნაია გრუზიას“ ამჯერადაც ახლავს ნობათი — ეს არის გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — გურამ ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი წიგნი სერიით: „ქართული ლიტერატურის ოსტატები“. სერიის რედაქტორია ზაზა აბზიანიძე, შემდგენელი კი მარინე რევიშვილი. წიგნი იხსნება არჩილ გოგელიას წინათქმით: „სიცოცხლეზე შეყვარებული ადამიანი!“ კრებულში მწერლის მოთხრობებთან ერთად დაბეჭდილია წერილები მის შემოქმედებაზე, რომლის ავტორებიც არიან გურამ გვერდწითელი, სვეტლანა ალიევა და გურამ ბენაშვილი. ახლავს ბიბლიოგრაფიაც.




**ნანა წერეთელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზურაბ ანჯაფარიძე — 70

# დიდი მომღერალი და დიდი ადამიანი

ზურაბს თავისებური შეხედულება ჰქონდა ოპერის მომღერლის თვისებებზე, იგი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ისეთ მომღერლად, რომელმაც ვოკალიზმა და სცენური ოსტატობის სინთეზი მოახდინა. სიმღერა მას პედაგოგებმა და დირიჟორებმა ასწავლეს, სცენაზე თამაში კი ისეთი კორიფეებისაგან აითვისა, როგორებიც იყვნენ აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი. სპატიონ კიდევ მრავალმა ცნობილმა და ღირსეულმა მსახიობებმა, რომელთა ჩამოთვლას ამ პატარა წერილში ვერ ვახერხებ. მსახიობო ნიჭს ზურაბი სკოლის წლებში არ ავლენდა. ამის შესახებ ლაპარაკი მაქვს წიგნში „ჩემი მეგობარი ზურაბ ანჯაფარიძე“. კერძოდ, ვამბობ, გამოსაშვებ საღამოს მხატვრული ნაწილის მოსამზადებლად პირველი სკოლის მაშინდელმა სახელმოხვეჭილმა დირექტორმა ჯაჯუ ორჯიკიამ მოიწვია რუსთაველის თეატრიდან ცნობილი მსახიობი ნოდარ ჩხეიძე. მან პატარა სახის დადგმა გადაწყვიტა. დაწყო მოწაფე-მსახიობების შერჩევა სხვადასხვა როლზე. ჩემს სამოცდას დიდხანს არ მონდომებია, გამსინჯა და ისე, რომ დუ-

ლიორიც არ დაუნიშნავს, პატარა სახის როლი მომცა. ჯერი ზურაბზე დადგა – გასინჯა, დიდხანს მოწმა, უბრალოდ არ უნდოდა ეთი ლამაზი ახალგაზრდის ურლოდ დატოვება, მაგრამ არაერი გამოუვიდა, ვერ იქნა და ოლი ვერ შეურჩია. რას იზამ, სახიობების ცხოვრებაში ხანდაან კურიოზებიც ხდება. თუნდაც ალ ღირს, შალიაპინის და გოკის შემთხვევა. ასე დაგვემართა და ზურაბსაც. ის სცენის ოსტატი გახდა, მე კი – მედიკოსი. ზურაბი ერთ-ერთ თავის ინტერვიუში წერდა: „დღეს მარტო სიმღერა იტალიაშიც არ აკმაყოფილებს ოპერის მოყვარულებს“. ზურაბის, როგორც კარგი სოლისტის ღირსება ის იყო, რომ იგი ერთდროულად კარგი მომღერალი და კარგი მსახიობიც იყო. აბესალომს ან გერმანს როცა მღეროდა, მისი ვოკალში გამოხატული ელიერი მდგომარეობა შეესიტყვებოდა მის მოძრაობას, მის ხვრა-მოხვრას, მის სახის გამომეტყველებას, მის გამოხედვას, ყველაფერი ერთად აღებული ქმნიდა იმ როლის სრულყოფილ სახეს, რომელსაც ასახიერებდა. ამიტომაც იყო, რომ ზურაბს უპირატესობა ყოველთვის ჰქონდა იმ ვოკალისტებთან, რომლებიც კიდომში გამოდიოდნენ. ისინი სკაზე დამჯდარნი მიკროფონში ასრულებდნენ როლის ვოკალურ ნაწილს და ცალკე ახდენდნენ მის სცენურ განსახიერებას. მე დიდ სიამოვნებით მიმაჩნია „პიკის ქალში“ ზურაბის მხოლოდ სიმღერის ჩაწერა. საჭირო იყო სპექტაკლის ზუსტად ისე გადაღება, როგორც იგი ლა სკალაში წარმოადგინეს, სადაც გერმანს ზურაბი მღეროდა და თამაშობდა ორივეს მშვენივრად და უნაკლოდ. ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ფელინის სიტყვები: „აიდას სულს ვერ მოვკიდებ, რადგან ის ზუსტად ისე უნდა დაიდგას, როგორც ვერდიმ დაწერა, მე კი არ

შემიძლია რაიმე არ მოვიგონო“. საოპერო სპექტაკლის შექმნა ხომ კოლექტიური შრომის შედეგია, კომპოზიტორის გარდა, მასში მონაწილეობენ რეჟისორი და მსახიობები. ნაწარმოების ანუ კომპოზიტორის და სცენარისტის ჩანაფიქრის სწორ ინტერპრეტაციაზე დიდად არის დამოკიდებული სპექტაკლის წარმატება. უკვე ეჭვს არავისში იწვევს, რომ ზურაბი მსოფლიოში პირველ გერმანად არის აღიარებული, ამიტომაც, კიდევ ვიმეორებ, მიზანშეწონილი იყო არა სპექტაკლის დადგმა, არამედ დადგმულის გადაღება.

ამბობენ, რომ ზურაბის მიერ ქართული სიმღერების თუ კლასიკური ნაწარმოებების შესრულების დროს ყოველთვის იგრძნობდი მის ეროვნულობას. ეს დიდი ღირსებაა ხელოვნისათვის.

„ზურაბ ანჯაფარიძის ხელოვნება ძალზე ეროვნული მოვლენაა“, – წერდა ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი. „ასეთი იყო მისი აბესალომი და რაოდენ გაოცებული დავრჩი, როდესაც ამდენადვე თვითმყოფადი და ღრმად ეროვნულ-ტრაგიკული გერმანი მოვისმინე ზურაბ ანჯაფარიძის შესრულებით დიდი თეატრის სცენიდან“.

ყველას დადებით მოვლენად მიაჩნდა ზურაბის ეროვნულობა სიმღერაში, გარდა ერთისა, ეს იყო ერთი შოვინისტი და ღვარძლიანი რუსი ხელოვანი, რომელმაც ზურაბს ვითომდა ხუმრობით უთხრა: „თქვენ ქართული აქცენტი ხელს არ გიშლით, როცა პეტრე ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს მღერით“. ამაზე ზურაბმა საკადრისი პასუხი გასცა: „თქვენ რუსული აქცენტი ხელს არ გიშლით იტალიელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებში მეორე პარტიებს რომ მღერითო“.

თვითონ ზურაბს ამ საკითხზე ასეთი შეხედულება ჰქონდა. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში წერს: „ხშირად დაობენ იმაზე, რამდენად ეროვნული შეიძლება იყოს კლასიკური პარტიის შემსრულებელი. ჩემი აზრით, დიდ მომღერალს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ეროვნული სახე უნდა ჰქონდეს. ასეა ლიტერატურაში, ხელოვნების სხვა დარგებში. შალიაპინის ყველა პარტიაში, იტალიური იქნებოდა ის, ფრანგული თუ სხვა, რუსი კაცის საუკეთესო თვისებები მჟღავნდებოდა. დაკარგავს თუ არა ხელოვანი საკუთარი მიწის შეგნებას, დაავიწყდება თუ არა, ვინ არის და საიდან არის, მაშინვე ლამურად იქცევა“. ამიტომაც იყო, რომ ზურაბი დიდად აფასებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს. მას მიაჩნდა, რომ ეს იყო ქართველი ხალხის ისტორია დაწერილი მუსიკის ენით. ამიტომ იგი ქართველი მომღერლებისაგან მოითხოვდა ჯერ მრავალჟამიერის სიმღერა ესწავლათ და მერე, რომელიც გნებავთ, კლასიკური ნაწარმოები. იმასაც ამბობდა, რომ თუ მომღერალმა ქართული ხალხური სიმღერა ვერ იმღერა, ის კლასიკაში ვერ ივარგებსო. ამიტომ დიდად აფასებდა ანზორ ერქომაიშვილის მოღვაწეობას ქართული სიმღერების სწავლა-პოპულარიზაციის საქმეში. თვითონ ამის საუკეთესო მაგალითს იძლეოდა. ზურაბი სუფრაზე ხომ მოვლენა იყო, იგი ბრწყინვალედ ასრულებდა ნებისმიერ ქართულ ხალხურ სიმღერას. არაფერი სჯობდა მათ მოსმენას, როცა ასეთ სიმღერებს საოჯახო ტრიო ასრულებდა მისი დედის – ალექსანდრას, ძმის – ჯემალის და ზურაბის მონაწილეობით.

იყო დიდი მომღერალი, სულაც არ ნიშნავს იყო დიდი ადამიანი. ზურაბმა თავისი ცხოვრების მაგალითით გვიჩვენა, რომ შესაძლებელია ერთდროულად კარგი კაციც იყო და კარგი ხელოვანიც. მისგან შორს იყო შური, პირიქით, ხშირად ამბობდა – შურიანი კაცი წარმატებებს ვერ მიაღწევს, ვინაიდან, ვისიც მას შურს, ყოველ მის წარმატებაზე განერვიულდება და ბოლოს, სხვა თუ არაფერი დაემართა, ხმას დაკარგავსო. მას ყოველთვის უხაროდა სხვისი წარმატება. ამას წინათ მისმა მეგობარმა და კოლეგამ, ბატონმა ნო-



დარ ანდღულაძემ მოიგონა: „ძალიან უნდოდა ზურაბს ჩემი მოსკოვის დიდ თეატრში გადაყვანა, მე კი ასეთი სურვილი არ მქონდა. იმისათვის, რომ თავისი განზრახვა განეხორციელებინა, დროდადრო, ვითომ ავად ხდებოდა და თვითონვე აძლევდა წინადადებას თეატრის ხელმძღვანელობას, ვინ შეცვლიდა მას – ჩემს კანდიდატურას უსახელებდა“. არ დაგავიწყდეთ, რომ ორივენი ტენორები იყვნენ. იშვიათია ასეთი კეთილშობილება, რასაც ზურაბი აკეთებდა და რაც კარგად ჩანს ამ მაგალითით. ისტორიამ ბევრი შემთხვევა შემოგვინახა, რომ ვოკალისტთა შორის, განსაკუთრებით ერთ ხმაზე მომღერლებში, დიდი შუღლი იყო. რას იზამ, ეს მათი ნაკლია და მით უარესი მათთვის.

დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი ბორის პოკროვსკი იხსენებს: „იგი, გარდა იმისა, რომ დიდი მომღერალი და მსახიობია, არაჩვეულებრივი ადამიანიცაა. მას არამც თუ თვითონ არ ჰქონია უსიამოვნება სხვა მომღერლებთან და განსაკუთრებით ტენორებთან, არამედ ისე ახერხებდა, რომ არც სხვებს აძლევდა ერთმანეთთან კინკლაობის საშუალებას“.

ბოლოს და ბოლოს – ვინ იყო ზურაბ ანჯაფარიძე: მაღალი კლასის პროფესიონალი – თანაბრად ძლიერი მომღერალი და მსახიობი, ბრწყინვალე ადამიანი, რომლის ცხოვრების მიზანი, გარდა სიმღერისა, სიკეთის კეთება იყო. საკუთარივით უხაროდა სხვისი წარმატება.

**ნიკო ხატიაშვილი.**

# ...მე და ზურიკო!..

მე და ზურიკო ჯერ კიდევ თბილისის კონსერვატორიაში სტუდენტობისას დავმეგობრდით. მართალია, იგი ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ მაინც ერთ წრეში ვტრიალებდით, ერთი მიზნისაკენ მივისწრაფოდით. ჩვენი ურთიერთობა არასოდეს გაბზარულა. ჩემთვის იგი ყოველთვის იყო უსაყვარლესი ადამიანი, პიროვნება, მოქალაქე. როგორი ნათელი და მიმზიდველი სახეც ჰქონდა, ასეთივე იყო მისი სულიც. სითბოთი და იუმორით სავსე ამ მომხიბლავ პიროვნებასთან დაახლოებას ყველა ცდილობდა, რადგან მის გვერდით ყოფნა და საუბარი დიდი ბედნიერება იყო. სხვათა შორის, იუმორი მთელ მის ოჯახს მოსდგამდა, დედასაც და ძმასაც, და მათ წრეში ყოფნას არაფერი სჯობდა.

მაგრამ, უწინარესად, იგი დიდი მომღერალი იყო და დღეს მსოფლიოში აღიარებულ ტენორებს, ვფიქრობ, არაფრით ჩამოუვარდებოდა, არც ხმით, არც არტისტიზმით, ქართული კოლორიტი კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენდა მის ხმას.

ბედნიერი ვარ, რომ ზურაბ ანჯაფარიძე ჩემი პარტნიორი იყო წლების მანძილზე. მახსოვს, სტუდენტობისას საკლასო კონცერტები რომ იმართებოდა, ზურიკომ თავდაპირველად ვერ გამოავლინა თავისი თავი. ბუნებრივია, ამას განიცდიდა და ამბობდა: თუ არაფერი გამომივიდა, სხვა გზას დავადგებიო. პირველი სპექტაკლი სტუდენტურ სცენაზე, საოპერო სტუდიაში ვიმღერეთ. ეს იყო „აბესალომ და ეთერი“. ზურიკო აბესალომს, მე კი მარეხს ვმღეროდი. იგი ნამდვილი უფლისწული იყო თავისი გარეგნობით, არტისტიზმით, საოცრად თბილი თვალებით.

როცა კონსერვატორია დავამთავრე, ჩვენს საოპერო თეატრში არ მიმიღეს. ზურიკო უკვე სოლისტი იყო. ძალიან წუხდა ჩემს გამო და ერთხელაც მითხრა: მე ჩავერევი ამ საქმეშიო, მერე შემიყვანა კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და ჩემს მაგიერად დაწერა განცხადება მიღებაზე და თავადვე წაუღო თეატრის იმდროინდელ დირექტორს დიმიტრი მჭედლიძეს. აი ასე მოვხვდი თეატრში.

დიდ სცენაზე ჩვენი პირველი ერთობლივი სპექტაკლი პ. ჩაიკოვსკის „იოლანტა“ იყო, როცა ბატონმა ოდისეი დიმიტრიადიმ გადაწყვიტა ახალგაზრდული შემადგენლობით დაედგა ეს ოპერა. მე იოლანტას ვმღეროდი, ზურიკო – ვოდემონს, თენგიზ მუშკუდიანი – მეფეს. ეს იყო 50-იანი წლები.

ამას მოჰყვა მთელი რიგი სპექტაკლები: „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ბაში-აჩუკი“, „მინდია“, „ლელა“, „კარმენი“, „აიდა“, „ოტელო“, „ჯამბაზები“.

ერთ რამეღ ღირდა ზურიკო „აბესალომში“ რომ გამოჩნდებოდა და ალტაცებული თვალებით „მე ბანი ბანად გეძებდის“ წამოიწყებდა. „დაისში“, მალხაზის სიკვდილისწინა გამოსათხოვარ არიას „გმორდები, ტურფავ“, ისეთი უშუ-



ალობით და გულწრფელობით მღეროდა და ისეთი გრძნობით, რომ მართლა განვიცდიდი მის წიკვდილს.

ერთად მუშაობის დროს სიძნელეებს ერთმანეთს ვუზიარებდით, შევჩივლებდით ხოლმე, ეს არ გამომდის და რა ვქნათო, ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ არ ვიყავით ამპარტავნები და თვითდაჯერებულები. მახსოვს, „პიკის ქალში“ მაღალი ნოტი არ გამოსდიოდა, მამაჩემმა ასწავლა და ამის შემდეგ კარგად ჩაჯდა ამ რეგისტრში. მოგეხსენებათ, მერე ისე მღეროდა გერმანს, არც ერთ რუს მომღერალს ასე კარგად არ უმღერია, რასაც თვითონაც აღიარებენ.

გასტროლებით ერთად მოვიარეთ მრავალი ქალაქი თუ ქვეყანა და ზურიკოს ყველგან დიდი წარმატებები ჰქონდა.

რამდენად გულისხმიერი და გულთბილი ადამიანი იყო, ამის დასტურად ერთ მაგალითს გავიხსენებ. გასტროლებზე ყოფნისას ერთი კაცი გაუცვნია, რომელსაც მისთვის უთქვამს, ლენინგრადში ერთი ქართველი მომღერალი ქალის მეცოსოპრანოს მოვუსმინე და დღემდე არ შემიძლია დავივიწყოო. ცომაია ხომ არ იყო გვარადო? უკითხავს ზურიკოს და როცა დასტური მიუღია, სიხარულისაგან მაშინვე წერილი მოსწერა დედაჩემს და ეს ამბავი შეატყობინა. ცხადია, დედაჩემმაც გაიხარა.

ზურიკო დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა. მამაჩემთანაც მეგობრობდა. ხშირად სამივე ვმღეროდით ერთ სპექტაკლში.

როცა მოსკოვში ვიყავი, აუცილებლად ვესტუმრებოდი ხოლმე ზურიკოს. მოსკოვური კურიოზებიდან არ დამავიწყდება ერთი მისეული იუმორის შტრიხი, რომლის გახსენებისას ყოველთვის მეცინება. ქუჩაში ბაასით მოვსეირნობდით, უცებ დაინახა, რომ იყიდებოდა წიგნი „სკოლა ყრუ-მუნჯთათვის“. მან იყიდა ეს წიგნი და ერთ-ერთ მომღერალს საჩუქრად გაუგზავნა.

ზურაბ ანჯაფარიძე დიდად დააკლდა ქართველ ერს და რაც დრო გადის, მის სიდიადეში უფრო და უფრო ვრწმუნდებით.

**მედეა ამირანაშვილი.**

სურათზე: სცენა ოპერიდან „ოტელო“.

## საიუბილეო ღონისძიებები

გამოჩენილი ქართველი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის დაბადების 70 წლისთავს ჩვენი საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს. დაგეგმილია შემდეგი საიუბილეო ღონისძიებები:

კვირას, 12 აპრილს, მომღერლის ბინაზე, სადაც იგი ბოლო წლებში ცხოვრობდა (ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა №31) მემორიალური დაფის გახსნა.

16 საათზე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სკვერში მისი საფლავის ყვავილებით შემკობა. საღამოს 17 საათზე კი საოპერო თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო.

იუბილეს ეძღვნება ორი სპექტაკლი — 14 აპრილს პუჩინის ოპერა „ტოსკა“ და 18 აპრილს ვერდის ოპერა „ბალმასკარადი“.

სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ მაყვალა ქასრაშვილი და ზურაბ სოტკილავა.

საქართველოს რესპუბლიკა
№87, კვირა, 12 აპრილი, 1998 წელი.

მუსიკა

# ვახტანგ ჟორდანია— თავისუფალი ხელოვანი...

## თბილისში კონცერტის გასამართავად ჩამოვიდა ჩვენი თანამემამულე, დირიჟორი ვახტანგ ჟორდანია

ბატონი ვახტანგის ცხოვრება და შემოქმედება ისე წარიმართა, რომ იგი ოცდაათ წელიწადზე მეტია სამშობლოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს.

1966 წლიდან, როდესაც უკვე დიპლომირებულმა პიანისტმა, სადირიჟორო ხელოვნების დასაუფლებლად მოსკოვში განაგრძო სწავლა, ვახტანგ ჟორდანია რუსეთში ცხოვრობდა. ჰერბერტ ფონ კარაიანის სახელობის კონკურსზე მიღწეული წარმატების შემდეგ იგი სათავეში ედგა ლენინგრადის რადიოს და სარატოვის ფილარმონიის ორკესტრებს, იყო ხარკოვის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი. იმავდროულად მისდამი არც ქართველი მსმენელის დიდ სიმპათიებს ივიწყებდა და დროგამოშვებით მშობლიურ ქალაქშიც მართავდა კონცერტებს, რომლებიც, წესისამებრ, გამორჩეული წარმატებით გვირგვინდებოდა ხოლმე.

შემდგომ დირიჟორი უცხოეთში გადაიხვეწა და აგერ უკვე თექვსმეტი წელიწადია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და მოღვაწეობს. წლების მანძილზე ვახტანგ ჟორდანია ქ. ჩატანუგის სიმფონიური ორკესტრისა და ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორის, შემდეგ კი, ვაშინგტონის შტატის ქ. სპოკენის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორის ამპლუაში ევლინებოდა მსმენელს.

თითქმის ხუთი წელიწადია ლაღი ბუნების კაცმა უცხოეთში მოღვაწეობის საკმაოდ გავრცელებული ფორმა — თავისუფალი ხელოვანის როლი აირჩია. ცხადია, თავისუფალ ხელოვანს მეტი დრო რჩება საგასტროლო ცხოვრებისათვის და ვახტანგ ჟორდანიაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მსმენელებს აცნობს თავის ხელოვნებას.

ამჟამად იგი რუსეთის ფედერალური ორკესტრის მთავარი დირიჟორია. ბოლო დროს ამ ორკესტრთან ერთად ბევრი კომპაქტდისკიც ჩაწერა.

ქართველი მუსიკის მოყვარულებს, ალბათ, ახსოვთ ბატონი ვახტანგის თბილისური ბოლო კონცერტი, რომელიც 1995 წლის აგვისტოში გამართა თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ზაფხულის „მკვდარი" საკონცერტო სეზონის მიუხედავად, მასთან შეხვედრას დანატრებულმა უამრავმა მსმენელმა მიაშურა მუსიკალურ-კულტურულ ცენტრს და იმედიც გაუმართლდათ — კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა...

ხვალ ვახტანგ ჟორდანია ისევ ამ ორკესტრთან ერთად მართავს კონცერტს. ამჯერად პროგრამაშია — ვერდის უვერტიურა ოპერიდან „ბედის ძალა", მენდელსონის პირველი საფორტეპიანო კონცერტი, სუნკ ჯენ ჰსიუს „კონჩერტო კაპრიჩიო" ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (საქართველოში სრულდება პირველად) და შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონია. კონცერტზე ქართველი მსმენელის წინაშე პირველად წარსდგება ამერიკელი პიანისტი ვირჯინია შაო.

ტრადიცია, ალბათ, არც ხვალ დაირღვევა და ქართველი მუსიკოსის თბილისური საგასტროლო კონცერტი ანშლაგით ჩაივლის.



ჩამოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ ინტერვიუ ჩამოვართვით ვახტანგ ჟორდანიას.

**— დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებდით იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა თქვენს შემოქმედებით მოღვაწეობაში 1982 წელს და შემდგომ პერიოდში?**

— ჩემს ხასიათში ცვლილებები არ მომხდარა, რაც შეეხება შემოქმედებას, იქ ყოფნის პერიოდში საგრძნობლად დავიხვეწე და გავიზარდე. ამერიკაში ცხოვრების პირველ ორ წელიწადში ბევრი ვიმოგზაურე, ამ დროში გაცილებით მეტი საგასტროლო კონცერტი გავმართე, ვიდრე საერთოდ მქონდა წასვლამდე. ჩემი ხელოვნება გავაცანი ევროპის მრავალი ქვეყნის, იაპონიის, კორეის მსმენელებს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ სხვადასხვა ქვეყნის კულტურების გაცნობა დიდად უწყობს ხელს ხელოვანთა ინტელექტუალურ ზრდას.

**— ცნობილია, რომ თქვენ შემოქმედებითი კონტაქტები გაკავშირებთ ლექსო თორაძესთან. ბოლო ხანს ხომ არ გქონდათ ერთობლივი გამოსვლები? ხომ არ მიუღიათ მონაწილეობა თქვენს კონცერტებში უცხოეთში მოღვაწე სხვა ქართველ მუსიკოსებს?**

— ლექსოსთან მართლაც მქონდა ხშირი შემოქმედებითი ურთიერთობები. ხშირად ვიწვევდი მას ჩემს ორკესტრებში დასაკრავად. გვქონდა გასტროლები კორეაშიც. ბოლო რამდენიმე წელიწადია, ერთად აღარ დაგვიკრავს. თუმცა, ჩვეულებრივ, ჩვენი მეგობრული ურთიერთობა გრძელდება.

სამწუხაროდ, სხვა ქართველ მუსიკოსებთან ერთობლივი მუზიცირების საშუალება არ მომცემია...

**— ყველა ხელოვანი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სამშობლოში საკონცერტო გამოსვლის სიამოვნებას მუდამ თან სდევს განსაკუთრებული ემოციური მუხტი და უჩვეულო მღელვარება. რა განწყობა გეუფლებათ ქართველი მსმენელის წინაშე წარდგომისას?**

— გეთანხმებით. ჩემთვის მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისში გამოსვლას და ახლაც ასეა. ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ საერთოდ მიჭირს ხოლმე იმის შედარება, თუ სად ვგრძნობ მუზიცირებისას თავს ისე, როგორც სახლში, მაგრამ როდესაც თბილისში ჩამოვდივარ, მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე, დანამდვილებით ვიცი, რომ სახლში ვარ. თუნდაც ის რად მიღირს, რომ ჩემი ოჯახის თითქმის ოთხმოცდაათი პროცენტი აქ ცხოვრობს — მამა, ძმები, ვაჟი, შვილიშვილები... ჩემი ახლანდელი ოჯახისა და ქალიშვილის გარდა, რომელიც ამჟამად ოჯახით სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობს.

თბილისში, სადირიჟორო პულტთან დგომისას, უამრავი რამ მახსენდება, უამრავი სასიამოვნო წუთი გაიელვებს ხოლმე მეხსიერებაში, ამას გარდა ვიცი, რომ კონცერტამდეც და მისი დასრულების შემდეგაც ჩემს მეგობრებს შევხვდები. საერთოდ, მუზიცირებისას არასოდეს ვღელავ, მაგრამ აღგზნება აქ გაცილებით მეტია, ვიდრე სადმე სხვაგან.

რაც შეეხება ქართულ აუდიტორიას, იგი გამორჩეულია თავისი ემოციურობით და ექსპანსიურობით.

მიმაჩნია, რომ ცუდი აუდიტორია არ არსებობს, მთავარია როგორ კავშირს დაამყარებს, როგორ ხიდს ააგებს დირიჟორი ორკესტრსა და მსმენელს შორის...

**— ცხადია, უცხოეთში მოღვაწე დირიჟორისთვის, ობიექტურ მიზეზთა გამო, გაცილებით უფრო რთულია ეროვნული ნაწარმოებების არსებობა რეპერტუარში, ვიდრე სოლისტისათვის, მაგრამ მაინც, რა ადგილი უკავია თქვენს შემოქმედებაში ქართულ მუსიკას?**

— სამწუხაროდ, ამჟამად თითქმის ვერ ვახერხებ ქართველი კომპოზიტორების ქმნილებების აჟღერებას, რადგან ჩემი საგასტროლო პროგრამები შედგენილია დამკვეთთა მოთხოვნების შესაბამისად. ჩემს ორკესტრებთან ერთად კი, ხშირად ვასრულებდი სულხან ცინცაძის საკვარტეტო მინიატიურების საორკესტრო ვერსიას, რომლებიც მე და სულხანმა ერთად გადავაკეთეთ კამერული ორკესტრისათვის. მსმენელი სიამოვნებით ისმენდა ამ ნაწარმოებებს.

ცოტა ხნის წინათ შევასრულე ახალგაზრდა კომპოზიტორის — რეზო კიკნაძის ნაწარმოებები.

მაქვს ჩანაფიქრი, რომ რეპერტუარში შევიტანო უფრო მეტი ქართული მუსიკა...

**— რამდენიმე სიტყვით ხომ არ გაგვაცნობდით თქვენს მიერ ჩამოყვანილი, მოწვეული პიანისტის ვირჯინია შაოს შემოქმედებით პორტრეტს?**

— ვირჯინია შაო ერთი წლის წინათ გავიცანი. მაშინ მასთან და პიანისტ ელენა კლიონსკაიასთან ერთად შევასრულეთ და შემდეგ ჩავწერეთ ბახის, მოცარტის, პულენკის კონცერტები ორი როიალისათვის. უახლოეს მომავალში უნდა გავმართოთ კონცერტი ნიუ-იორკის კარნეგი-ჰოლში.

იგი საკმაოდ ნიჭიერია, მაგრამ ჯერ კიდევ არა აქვს დიდი შემოქმედებითი, საკონცერტო გამოცდილება.

იმავდროულად ვირჯინია ძალზე პოპულარული სატელევიზიო მუსიკალური გადაცემების ავტორია ტაივანში.

**— თქვენ შეერთებულ შტატებში კიდევ ერთხელ დაოჯახდით და ორი შვილიც შეგეძინათ. თუ იციან მარიამმა და დიმიტრიმ ქართული ენა, ისტორია?**

— ბუნებრივია... პირველ რიგში მათ იციან, რომ საქართველო მათი სამშობლოა და რომ ისინი ქართველები არიან. ამაში დიდ დახმარებას მიწევს ჩემი მეუღლე, კიმბერლი, რომელსაც ძალიან უყვარს საქართველო, ქართველი ხალხი.

თავისი ასაკის შესაბამისად, ბავშვებმა ბევრი რამ იციან ქართული კულტურის, საქართველოს წარსულის შესახებ, ლაპარაკსაც ცდილობენ და გამოსდით კიდეც. მე და დიმიტრი ხშირად დავდივართ სათევზაოდ და ამ დროს მხოლოდ ქართულად ვსაუბრობთ ხოლმე.

საქართველოში ოჯახი უკვე ორჯერ მყავდა ჩამოყვანილი. დიდი სურვილი მაქვს გაისად რამდენიმე თვით ჩამოვიყვანო და ვიყოთ ისეთ გარემოში, სადაც მხოლოდ ქართულ საუბარს მოისმენენ, რაც მათ დიდ პრაქტიკას, გამოცდილებას შესძენს ენის დაუფლებისათვის. სხვათა შორის, ჩემი მეუღლეც ცდილობს ქართული ენის შესწავლას.

**— სამშობლოსგან ოცდაათწლიანი განშორების ფონზე, შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ მომდევნო შეკითხვა, მაგრამ მაინც შემოგბედავთ — ხომ არ გიფიქრიათ საქართველოში დაბრუნებაზე?**

— ჩვენი გეგმები, ჩვენი მომავალი მხოლოდ ღმერთმა იცის. ცხადია, არ ვიცი, რა მოხდება ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ერთი კი შემიძლია დანამდვილებით მოგახსენოთ — რაც დრო გადის, მით უფრო ხშირად და მეტ ხანს მინდა საქართველოში ყოფნა. შარშანწინ ორჯერ ვიყავი ჩამოსული. საბოლოოდ დაბრუნებაზე არ მიფიქრია, მაგრამ ყველაფერი შესაძლებელია.

მივენდოთ ღმერთს...

**— თქვენ ინტენსიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევით და, ამგვარად, თქვენი შემოქმედებითი ბიოგრაფია დღითიდღე უფრო მეტი მოვლენებით ივსება. თბილისში ბოლო „სტუმრობის" შემდეგ რა იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თქვენს მუსიკალურ ცხოვრებაში? და რამდენიმე სიტყვა შემოქმედებითი გეგმების შესახებ...**

— ბუნებრივია, მქონდა ახალი შემოქმედებითი შეხვედრები, ახალი საგასტროლო მარშრუტები. ბოლო ხანს დიდ დროს ვუთმობ ჩანაწერებს. მიმაჩნია, რომ ჩანაწერების შექმნა მნიშვნელოვანია შემსრულებლისათვის, ვინაიდან მწერალი ტოვებს წიგნებს, მხატვარი — ნახატებს, კომპოზიტორი — პარტიტურებს, შემსრულებელს კი თავის შემდეგ თავისი შემოქმედების უკვდავსაყოფად, მხოლოდ ჩანაწერების დატოვება შეუძლია. ბოლო პერიოდში რუსეთის ფედერალურ ორკესტრთან ერთად ჩანაწერების სახით გამოვუშვით კომპაქტ-დისკები, რომლებშიც ჟღერს ბერლიოზის, ვერდის, ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, შოსტაკოვიჩის და სხვა კომპოზიტორების მრავალი მნიშვნელოვანი ქმნილება.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მაისში უნდა გავმართო კონცერტები ნიუ-იორკის კარნეგი-ჰოლში, შემდეგ ლონდონში „როიალ-ფილარმონიკის" ორკესტრთან ერთად...

ესაუბრა
**ზურაბ ოიკაშვილი.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ღირსეული

# ყველა აამღერა



ჩახჩახებულ სცენაზე ასორმოცდაათამდე ბავშვი დგას, ანთებულ სანთლებს ჰგვანან. ყველას თვალი ლოტბარს მისჩერებია. წუთიერი გარინდება... მერე დარბაზში გაისმის „მრავალჟამიერი", სცენაზე კი საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი პანტელეიმონ ბოჯგუა დგას, ჭაღარამემოსილი კაცი, ცნობილი ლოტბარი. მის კალთაზე ოქროსხფერი შემოდგომა დგას — ლამაზი სამოცდაათით.

სენაკის რაიონის სოფელ ზანაში ვასილ ბოჯგუას ოჯახში ყველა მღეროდა. დედ-მამა უკრავდა კიდეც. ოჯახურ კონცერტებზე ყველაზე უმცროსი, მეათე შვილი პანტელეიმონი მამის მუხლებზე იჯდა ხოლმე. შემოქმედებითი გზა კი სკოლის კედლებში დაიწყო. უფროსკლასელი უკვე გუნდის ხელმძღვანელი იყო. სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, მაგრამ დასძლია მუსიკის სიყვარულმა და ჩვიდმეტი წლისა თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ ათწლედში ჩაირიცხა — საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე პროფესორ გიორგი ხახანაშვილის კლასში. კონსერვატორიაში ჩაბარებისას ხიფათს გადაეყარა და მისალები გამოცდების დრო საავადმყოფოში გაატარა. ყმაწვილურ ოცნებას ფრთები შეეკვეცა.

შემოქმედებითი გზა აღიგენიდან დაიწყო. ოთხი წელიწადი კულტურის სახლის დირექტორად და გუნდის ხელმძღვანელად იმუშავა.

სენაკის მეორე საშუალო სკოლაში კი 1957 წლის სექტემბერში მოვიდა. სკოლის გუნდს მისი ხელმძღვანელობით მუდამ დიდი წარმატებები ჰქონდა. ეს ქიული მარტავას ალმ-ზრდელი სკოლაა, ბატონი პანტეც მისი საყვარელი მასწავლებელი იყო.

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა პანტელეიმონ ბოჯგუას შემოქმედებითი საღამო — „პორტრეტი ინტერიერში". იუბილარს უამრავი სტუმარი ჰყავდა. სცენაზე იდგა სკოლის გუნდი, ვოკალური ჯგუფი, რაინდთა შეიდეული, მოსწავლეები... მეორე საშუალო სკოლაში ხომ დიდი და პატარა მღერის. პროგრამა მიჰყავდათ სკოლის მასწავლებლებს ნანა თავართქილაძეს და ნანა სახოკიას.

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მანანა ცომაიამ დარბაზს სასიამოვნო ამბავი აუწყა — საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება პანტელეიმონ ბოჯგუას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ და წაიკითხა უამრავი მილოცვა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

სცენაზე დგას პენტელეიმონ ბოჯგუას ლამაზი ოჯახი. ქალბატონ ფოთოლას და ბატონ პანტეს ქორწინებიდან მეორმოცე წელი შეუსრულდათ. ეს მნიშვნელოვანი თარიღი მშვენიერ წყვილს სენაკის მმაჩის განყოფილების გამგემ ნაირა ეჯიბიამ მიულოცა და საქორწილო რიტუალი ჩაატარა.

ოჯახი ტრადიციებს არ ღალატობს. აქ დიდი და პატარა მღერის — შვილები და შვილიშვილებიც.

მოღვაწეობის გრძელ გზაზე პანტელეიმონ ბოჯგუამ არაერთი ანსამბლი ჩამოაყალიბა. შეიდკაცამ —„კუჩხიბედინერი" ოცდაათი წელიწადი იარსება. გოგონათა ანსამბლია „მთიები". ქალაქის სახელმწიფო ანსამბლსაც ბატონი პანტე ხელმძღვანელობს — მასში არიან 70-იანი და 80-იანი წლების მეორე სკოლის სოლისტები.

სენაკის რაიონში ბატონ პანტეს 14 მუსიკალური სტუდია ჩამოუყალიბებია. მის სახელსვე უკავშირდება სკოლაში არსებული სამუსიკო ათწლედი.

იუბილარს მიულოცეს სტუმრებმა ქუთაისიდან, ოზურგეთიდან, ხობიდან...

ქალაქ სენაკის მერმა ანზორ ცაგურიამ წაიკითხა გადაწყვეტილება პანტელეიმონ ბოჯგუას ქალაქის საპატიო მოქალაქედ არჩევის შესახებ.

**იოსებ გოგებია,**
„სრ". საკ. კორ.

# სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი


ღირსეულნი

# დამსახურებული აღიარება





დიუსელდორფის გმირებს ინდივიდუალურ ღირსებებთან ერთად ბევრი აქვთ საერთოც: ქართული ფეხბურთის უდიდესი წარმატების შემოქმედნი ერთდროულად მოვიდნენ თბილისის „დინამოში“, მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონობა და თასი, საკავშირო პირველობების პრიზიორობა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედლები, გახდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები. ლოგიკურია, რომ მათი სახელმწიფოებრივი აღიარებაც ერთდროულად მოხდა:

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 4 აპრილის ბრძანებულებით ქართული ფეხბურთის განვითარებაში, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის მფლობელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ოთარ გაბელია და რამაზ შენგელია დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

მათი გამორჩეული ღვაწლის აღსანიშნავად დღეს მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოგთავაზოთ ამონარიდები მწერალ მინდია მოსაშვილის წიგნებიდან „მეკარე“ და „№ 1 ფეხბურთელი“.

## ოთარ გაბელია

უსწრაფესი რეაქცია, ხელსაყრელი პოზიციის დროულად შერჩევის უნარი, ულამაზესი ელვისებური აკრობატული ნახტომები, უდრეკი ნებისყოფა და გამარჯვებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა, – აი, რამ განაპირობა ამ შესანიშნავი ქართველი სპორტსმენის დიდი წარმატება.

გარდა ყოველივე ამისა, თბილისის დინამოელთა მეკარეს ახასიათებს პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა და ფეხბურთისადმი, მშობლიური გუნდისადმი ფანატიკური ერთგულება და სიყვარული, რაც მისი მონაწილეობით გამართულ ყოველ მატჩში ასე თვალნათლივ მოჩანს ხოლმე ტრიბუნებიდან.

1979 წელს ოთარ გაბელიამ გაიმეორა თავისი სახელოვანი წინაპრის სერგო კოტრიკაძის 1962 წლის მიღწევა, როცა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ქართველი ფეხბურთელი პირველად აღიარეს ქვეყნის უძლიერეს მეკარედ.

ასე რომ:

1962 წელს – სერგო კოტრიკაძე,

17 წლის შემდეგ კი – ოთარ გაბელია.

საქართველოს პირველი გუნდის მეკარეთაგან სხვას არავის ღირსებია ესოდენ დიდი პატივი, – ეტარებინა საბჭოთა ქვეყნის № 1 კარის გუშაგის მრავალი დიდოსტატისთვისაც კი შესაშური, ამაოდ ნანატრი ტიტული.

## რამაზ შენგელია

1974 წელს 17 წლის რამაზ შენგელია ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის დუბლიორთა წამყვანი მოთამაშეა.

1975 წელს 18 წლის რამაზ შენგელია ქუთაისის „ტორპედოს“ ძირითად შემადგენლობაშია და I ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია.

1976 წელს 19 წლის რამაზ შენგელია საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შეუცვლელი ცენტრფორვარდია და ლამის ყოველ საერთაშორისო მატჩში წყვილ-წყვილი გოლიც კი გააქვს.

1977 წელს 20 წლის რამაზ შენგელია თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაშია, თანაგუნდელებთან ერთად ვერცხლის მედლის კავალერი გახდა და ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის დაასახელეს.

1978 წელს 21 წლის რამაზ შენგელია საბჭოთა კავშირის ჩემპიონია და № 1 ფეხბურთელად აღიარეს.

1978 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ წერდა:

„21 წლის რამაზ შენგელია ისევე ოსტატურად თამაშობს, ანუ „ვეფხისტყაოსნის“ ენით რომ ვთქვათ, ისევე გამოირჩევა „მართლად ცემით და მარჯვედ ქნევით“, როგორც თავის დროზე ბორის სოლომონის ძე პაიჭაძე, რომელიც ახლა მას ბაბუად ეკუთვნის“.

ჩანართს უძღვება ანზორ ბასილაია.

ჭადრაკი

# სამი მეოთხედფინალისტი დღეს გამოვლინდება

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე რაუნდი ყველაზე დაძაბული გამოდგა. ორდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ აშკარა უპირატესობას მხოლოდ გიორგი ბაღათუროვმა მიაღწია. მან ორივე პარტია მოუგო სოფიკო ტყეშელაშვილს და მეოთხედფინალში გავიდა. ხვიჩა სუპატაშვილი და ალექსანდრე დგებუაძე პირველ დღეს შავი ფიგურებით თამაშობდნენ თავიანთ მეტოქეებთან – გიორგი ბახტაძესთან და დავით ლობჟანიძესთან და ყაიმს დასჯერდნენ. გუშინ კი ჩინებულად გამოიყენეს თეთრი ფერის უპირატესობა – მოიგეს თავიანთი შეხვედრები და რვა საუკეთესოში დაიმკვიდრეს ადგილი. მეოთხედფინალში გასასვლელად სამ წყვილს დღეს მოუწევს დამატებითი ორთაბრძოლები: გამოცდილმა დიდოსტატმა ვენადი ზაიჩიკმა ვერაფერი გააწყო ახალგაზრდა დავით შენგელიასთან და ორივე ხელი ყაიმით დაამთავრა. ასევე ორ-ორჯერ დაზავდნენ გიორგი ყაჭეიშვილი და მიხეილ მჭედლიშვილი, ლაშა ჯანჯღავა და ალექსანდრე ყაშაშვილი.

დღეს ისინი 2-2 ოცდახუთწუთიან პარტიას ითამაშებენ. თუ აქაც ყაიმები აღინიშნა, გამარჯვებულებს ბლიცპარტიები გამოავლენს. შემდეგ მეოთხედფინალის მონაწილენი 30 აპრილამდე დაისვენებენ. ხვალ კი ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნება მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატი.

თამაზ ცინცაძე.

მოკლედ

გუშინ გაიმართა ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის XXII ტურის 6 შეხვედრა. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„დინამო“ – ბათუმი 2:0, „მარგვეთი“ – „ტორპედო“ 1:3, „გორდა“ – „მერანი“ 1:1, „დილა“ – „ოდიში“ 3:0, „გურია“ – „სიონი“ 2:1, „სამგურალი“ – „კოლხეთი“ 0:0.

ლიდერთა ჯგუფი: „დინამო“ 51 (21 თამაშიდან), „ბათუმი“ – 44, „კოლხეთი“ – 43, „ტორპედო“ – 42, „ოდიში“ – 41 (21 თამაშიდან) ქულა.

* * *

გუშინ სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალური „პლეი-ოფების“ პირველი შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„აზოტი“ – სდასუ 106:74, „ვითა“ – „დინამო“ 98-90.

შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე ბრძოლა 3 მოგებამდე გაგრძელდება. ხვალ 16 და 18 საათზე მეორე რაუნდი მოეწყობა.

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

**კომპლექსი სრულდება 4 ცდით, თითოეული ვარჯიშის 8-10 გამეორებით**

1. **ფეხის კუნთებისთვის.** ჩაჯდომა ჰანტელით, ზემოთ გამართული ხელით, მეორე მკლავი განზე. ჰანტელი რიგრიგობით ხან ერთ ხელშია, ხან მეორეში. ჩაჯდომისას – ჩასუნთქვა:

2. ა) **გულმკერდის კუნთებისთვის.** შტანგის აჭიმვა წოლელა მდგომარეობაში. აჭიმვისას – ამოსუნთქვა.



1



4

ბ) ზურგზე წოლელა მდგომარეობიდან ჰანტელების განზე გაწევა. გაწევისას – ამოსუნთქვა.

3. ა) **მხარბეჭის სარტყლის კუნთებისთვის.** დგომში ჰანტელების მორიგეობით აჭიმვა. სუნთქვათავისუფალი.

ბ) ჰანტელების ხელებით განზე გაწევა. გაწევისას – ამოსუნთქვა.

4. **ზურგის კუნთებისთვის.** მოხრილი მდგომარეობიდან შტანგის მუცლის ქვედა ნაწილამდე აჭიმვა. აჭიმვისას – ამოსუნთქვა.


2ა


2ბ


5ა

5. ა) **მკლავების კუნთებისთვის.** დგომში შტანგის აწევა ბიცეპსებით. აწევისას – ამოსუნთქვა.

ბ) ტრიცეპსებისათვის. წოლელა მდგომარეობიდან შტანგის აჭიმვა ვიწრო ტაცით. აჭიმვისას – ამოსუნთქვა.

6. **მუცლის კუნთებისთვის.** ვარჯიში „პრესი“. ტანის აწევისას – ამოსუნთქვა.

**ვარჯიშებს ასრულებს ბორის ბერეჟნოი.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.


3ა


5ბ


3ბ


6

# განცხადება

## მიწათმოქმედთა საყურადღებოდ!

პირველად საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ იაპონიის მთავრობის დახმარებით შემოიტანა 46 პროცენტი სამმაგი სუპერფოსფატი, რომელიც ხასიათდება ხანგრძლივი შემდეგქმედების უნარით (რის გამოც მომდევნო 2-3 წლის მანძილზე სუპერფოსფატით განოყიერებულ ნიადაგს აღარ ესაჭიროება სასუქის შეტანა). იგი გრანულირებულია და დაფასოებულია 50 კგ. პოლიეთილენის ტომრებში. ფასი 1 ტონა 300 ლარი.

თითოეულ ჰექტარზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით საჭიროა შეტანილ იქნას 130-200 კგ-ის ოდენობით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის (რეკომენდაციების მისაღებად) დაგვიკავშირდით:

გარდაბნის რ-ნი, ს. გაჩიანი. სააქციო საზოგადოება „გაჩიანი“.

ტელ: 33-34-11, 93-90-92, 23-02-33, 8 99 56 04 06.



## იყიდება

საოფისე ფართი 1 ან 2-სართული (ერთი სართულის ფართი 520 მ ²) პრესტიჟულ 16-სართულიან პრივატიზებულ შენობაში, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. № 16 (კრწანისის გამგეობის გვერდით). ფასი შეთანხმებით. ტელეფონები: 99-71-06, 72-07-90 (დღის საათებში), 37-23-18 (საღამოს საათებში).


საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი, ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი

ავთანდილ აბესაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 12, 13 IV, 5 ს. გამოსვენება 14 IV, 3 ს. ინსტიტუტის შენობიდან, ყაზბეგის გამზ. 22.

---

შვილი ჯუმბერი, შვილიშვილები, რძლები, დისწულები, ძმისწულები, ბიძაშვილები და მათი შვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიქტორ (მიტო)
იასონის ძე ბერაძე

პანაშვიდი 12, 13 IV 5 სთ. გამოსვენება 14 IV 3 სთ. კუტუზოვის ქ. № 10.

---

სააქციო საზოგადოება „იაღონის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვიქტორ იასონის ძე ბერაძე

## ხსოვნა

### თამარ ქვანია



გარდაიცვალა საქართველოში ტრანსფუზიოლოგიური სამსახურის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამარ ქვანია,** რომლის მთელი ცხოვრება ადამიანის სამსახურში გავიდა და, რომლის ყოველი დღე ადამიანზე ზრუნვით იყო სავსე.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე თამარ ქვანიამ მუშაობა დაიწყო საქართველოში სისხლის გადასხმის პირველი დაწესებულების დამაარსებელთან აკად. გრიგოლ მუხაძესთან, რამაც განაპირობა ქ-ნ თამარის შემდგომი საექიმო და სამეცნიერო მიმართულება – ტრანსფუზიოლოგია და ჰემატოლოგია. სისხლის გადასხმის სადგურის გახსნის დღიდან (1932 წ.) თ. ქვანია ამ საქმის უცვლელი მსახურია. მუშაობდა სისხლის გადასხმის სადგურში, ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტში, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტში.

მეორე მსოფლიო ომის წლებში სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა დონორთა კადრის დაკომპლექტებაში, ხელს უწყობდა ფრონტისა და ევაკოჰოსპიტლების სისხლის შეუფერხებელ მომარაგებას.

სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, თ. ქვანია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სისხლის გადასხმის და ჰემატოლოგიის კათედრაზე, ხოლო 1964 წლიდან მის ძირითად საქმიანობას პედაგოგიური მუშაობა წარმოადგენს. ერთდროულად იგი ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის კონსულტანტია და აქტიურად მონაწილეობს ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დიდია თამარ ქვანიას სამეცნიერო მოღვაწეობის დიაპაზონი. იგი ტრანსფუზიოლოგიის, ჰემატოლოგიის, რადიოლოგიის აქტუალურ საკითხებს მოიცავს. ამ საკითხების ირგვლივ მას გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის, 3 მონოგრაფია, თავები სპეც. სამედიცინო სახელმძღვანელოებში, ბროშურები. ბევრი შრომა პრიორიტეტული ხასიათისაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თ. ქვანიას სადოქტორო დისერტაცია „ჰემოტრანსფუზიული რეაქციებისა და გართულებების პათოგენეზისა და პროფილაქტიკის შესახებ“, რომელიც მან 1955 წელს დაიცვა და რომელმაც დღესაც არ დაკარგა აქტუალობა.

თამარ ქვანიამ ტრანსფუზიოლოგთა არაერთი თაობა აღზარდა. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით შესრულებულია სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები. იგი იყო თბილისის ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, რამდენიმე საპრობლემო კომისიის, სამეცნიერო საბჭოს და სარედაქციო საბჭოს წევრი.

თამარ ქვანია – დიდი მოქალაქე, ერუდირებული მკვლევარი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ნიჭიერი პედაგოგი, თავისი საქმის დიდი ქომაგი, მზრუნველი დამრიგებელი, გულისხმიერი და მოსიყვარულე მეგობარი დიდი პატივისცემით, სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომელთა, მოწაფეთა და ახლობელთა შორის. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ყველას გულში, ვისაც მასთან ოდესმე საქმიანი ან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, აკად. გრ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება.**



საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის სამედიცინო სამსახური, მედმუშაკთა პროფკომიტეტი და რკინიგზის სამედიცინო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ექიმი, საპატიო რკინიგზელი, ღირსების ორდენის კავალერი, სამედიცინო სამსახურის უფროსი

სპარტაკ ლაშხი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საბურთალოს რაიონის ქალთა საბჭო თანაგრძნობას უცხადებს ლამარა მოსიძეს მეუღლის სპარტაკ ლაშხის გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

### ავთანდილ აბესაძე



ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და მოქალაქე, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი, აკად. გრ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ავთანდილ აბესაძე.**

ა. აბესაძემ 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და იმთავითვე ეზიარა სამედიცინო მეცნიერებას, რომელსაც იგი ემსახურებოდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დაიწყო მუშაობა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრაზე. 1956 წლიდან ა. აბესაძე მუშაობდა ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტში ჯერ მეცნიერ-თანამშრომლის, მერე ექსპერიმენტული განყოფილების ხელმძღვანელის, ხოლო 1986 წლიდან დღემდე სამეცნიერო ნაწილში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. 1963 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ფართოა პროფესორ ა. აბესაძის სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო. წლების მანძილზე იგი სწავლობდა კუჭის სეკრეტორული მოქმედების საკითხებს. მნიშვნელოვანია მისი კვლევა სისხლის სისტემის საკითხების შესწავლის საქმეში. მისი შრომების დიდი ნაწილი ეძღვნება გადასხმული სისხლისა და მისი კომპონენტების მექანიზმის შესწავლას, რის შედეგადაც მოწოდებულია გადასხმული სისხლის მოქმედების მექანიზმის ორიგინალური თეორია, რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფ. ა. აბესაძემ სისხლის სისტემის რეგულაციის საკითხების, კერძოდ, თრომბოციტოპოეზის და სისხლის სისტემის შედედების რეგულაციის საკითხების შესწავლაში.

პროფესორ ა. აბესაძის სამეცნიერო კვლევის შედეგები ასახულია 6 მონოგრაფიასა და 250-მდე სამეცნიერო შრომაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებში, როგორც რესპუბლიკურ, ასევე ყოფილ საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბით.

დიდია პროფესორ ა. აბესაძის დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის საკითხში. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით დაცულია 40 საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია. სამეცნიერო მუშაობას იგი შესანიშნავად ათავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობასთან.

პროფ. ა. აბესაძე იყო თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, ტრანსფუზიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

ბ-ნი ავთანდილის პიროვნებაში შერწყმული იყო ღვთისაგან მონიჭებული ნიჭი, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, პრინციპულობა, შრომის დიდი უნარი, კეთილშობილება, კაცთმოყვარეობა.

ა. აბესაძის, დიდი ბუნებისა და მაღალი ზნეობის ადამიანის, რჩეული მამულიშვილისა და დახვეწილი ინტელიგენტის სახელი სამარადისოდ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების და მთელი ჩვენი სამედიცინო საზოგადოების ხსოვნაში.

**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი; საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება.**

---

### ნოდარ ნონიკაშვილი



**ნოდარ ნონიკაშვილი,** ჩვენი ნოდარი, ყველას მოსიყვარულე, ნაშრომ-ნაღვაწი, ჭარმაგი კაცი წავიდა საუკუნო სოფელს.

გულმართალი იყო – უშურველი, გულუხვი, დარდიმანდი, გულგაშლილი, ხელგაშლილი, სტუმართმოყვარე, პურადი...

წრფელი, ვაჟკაცური გულით უყვარდა კაცი, მიწა, ზეცა, სიცოცხლე, თავის ხელობას აღმერთებდა. ალალი სული და გული, ხალასი ნიჭი და დიდი მწიგნობრობა სათაყვანებელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეალია.

ისტორიას ასწავლიდა. ბოლო წლებში გახარებული ამბობდა – ბედნიერი ვარ, მოვესწარით, მთელ საქართველოში საქართველოს ისტორიას ვასწავლითო...

გულქართლობას უღვივებდა, უნერგავდა სტუდენტობას... და ყველას, ყველას, შინ თუ გარეთ, მშვენიერ ოჯახს, შინაურსა და გარეულს.

მოიმკო კიდეც დიდი სიყვარული... ის ნაღდი სიყვარული მოიმკო ნოდარ ნონიკაშვილმა, რომელსაც ვერარა სამეცნიერო ხარისხ-წოდებებით, ჩინ-მედლებით ვერ ელირსები საქართველოში კაცი, თუ... გულქართლი არ ხარ! არ უძიებია ნოდარს არავითარი ოფიციალური ხარისხ-წოდება-ჩინები. ერთი, ერთადერთი, კაცობრიობის ისტორიაში ყველა დროისა და ყველა ხალხის ყველაზე დიდი წოდება ჰქონდა – კაცობა, რასაც ჩვენი მამა-პაპა გულქართლობას ეძახდა.

წავიდა ჩვენგან ნოდარი, წავიდა, ჩაგვწყვიტა სული და გული, აგვატირა, დაგვამწუხრა, მაგრამ ტანჯულ სულსა და სხეულთან ერთად საუკუნო სოფელს არ წაუღია თავისი გულქართლობა. ის ჩვენ ანდერძად დაგვიტოვა, ყველას – თავის სალოცავ ოჯახს, ცრემლგამშრალ დედას, გულმოკლულ ძმებს, ცოლ-შვილს, შვილიშვილებს, მეგობარ-ახლობლებს, სტუდენტობასა და ვიღას არა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

**მეგობრები.**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.